# ცისკარი.

**1864**

ივლისი.

## წელიწადი მერვე.

წოდება თხზულებათა:


I — ფონტენებლო. . . (მოთხრობა) გ. დიდებულიძისა.

II — ლექსები: 1, თ. ალ ჭავჭავაძის ლექსებითგან — 2, გულისადმი — სჳმონ მაჭუტაძისა.. — 3, კუმლევნი სამღჳდელოთა დავით ოდიშელიძისა.

III — კოლხიდა რომაელების მფლობელობაში შემოსვლამდინ საქართველოში ყეენის ქასრუსი, — ი. მოხიძისა.

IV — სხჳა და სხჳა ამბავი. (იხილე მეორე გვერდზედ)


---


ტფილისს.

გერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ფონტენებლო.

## ისტორიული მოგონებანი

ჩუენ გვინდოდა გვეამბო, თუ როგორ, სხუა და სხუა დროს, საფრანგეთში, შენდებოდნენ ეს მშუენიერნი წარმოებანი, ანუ შენობანი, მარმარილოსი, გრანიტისა (კლდის ქუა, მარმარილოს მსგავსი), ოქროსი და ვერცხლისა; თუ როგორ მეერ··დნენ, შექმნეს და განამშუენეს ფრანცისკებთა და ლუდოვიკ მეთოთხმეტემ (კოროლნი ფრანციისა) და ეგრეთვე ნიჭთა ლეონარდისა, პრიმატიჩიოსა და პიუჟეტისა, (ჩინებულნი მხატვარნი), ის დიდ შემკობილნი სამკობილნი სასახლენი, რომლითაც საფრანგეთს შეუძლიან იქადოდეს; მაგრამ ეს საგანი ისე ვრცელია, რომ ჩუენ აღვსწერთ მხოლოდ ფონტენებლოს —მაგრამ საიდამ უნდა ვიწყოთ აღწერა ამ სასახლისა, რომელიც შეიცავს რაოდენსამე სხუა სასახლესა? ამა საკჳრველთა შეკრებილებათა? ვითარნი უნდა ვიპყრათ მოგონებანი ანუ გახსენებანი?

ვიწყოთ მისის წარმოებისაგან, ვითარცა საფუძველისაგან ძველთა ლეგენდათა ისტორიულის დიდებისა და შემთხვეულებათა. ვსთქვათ თუ რა იყო უწინ ის, და ან რა არის აწ იგი.

მეცამეტე საუკუნეში ლუდოვიკ წმინდა ნადირობდა ერთხელ ბიერის ტყეში იქ იმას დაეკარგა ძაღლი, რომელსაც ერქჳა ბლო. კოროლი ამაზედ ძრიელ შესწუხდა; კოროლის მხლებელნი ერთგულათ ეძებდნენ და ცდილობდნენ ეპოვნათ საყვარელი კოროლის ძაღლი, და ჰპოვეს ის ერთს წყაროსთან, სადაც ის იკლავდა თავის წყურვილსა იქ გააკეთეს ჭა და დაარქვეს სახელი ძაღლისა ფონტენებლო (ბლოს აუზი). მალე შეიქმნა ის ადგილი შესაკრებელ მუხლად მონადირეთა.

დაუტეოთ ახლა ლეგენდა და ჩავხედოთ იმის ისტორიაში —

გატინეს სამთავრო დაყოფილი ტყეებით, მდინარეებით, ხეობეებით და მთებით დიდად მრთელი და სასიამოვნო ადგილია, და ამისათჳს საკმაო ასხია იმას მცხოვრები. იქ მცხოვრებნი, ჩვეულებითად, სძლებენ დიდხანს სრულის სიმრთელით, და გარდიცვლებიან შემდგომ ღრმად მოხუცებულებისა აი ფრანციის კოროლებმა რისთჳს აღაშენეს იქ სამხიარულო საცხოვრებელნი. ესრეთ თჳთ უპირველესი და უმშჳენიერესი მთელს ევროპაში სასახლე ფონტენებლოსი არის აშენებული იმ სამთავროში. ფრანციის კოროლთა არამც თუ აღირჩიეს ის მხარე საცხოვრებლად და დასაცველად თჳსის სიმრთელისა, არამედ სურდათ, რომ შჳლნი იმათნიც დაბადებულიყვნენ იმ სასა-

ხლეში, ამისათვის, რომ აღშენებამდე ფონტენებლოს სასახლისა კოროლების ორსული მეუღლენი მიდიოდნენ შჳლის საყოლათ მონტარჟის ციხე დარბაზში, და შჳლნი იმათნი სცხოვრებდენ და იზრდებოდენ იქ. რომლისათჳსაც იმ ადგილს უწოდეს ძიძათ ფრანციის მეფის შჳლთა

მონტარჟიდამ კოროლევანი გადავიდნენ ფონტენებლოში, რომელიც ათვლებს გულათ გატინეს სამთავროისა. უწინ მელენი ეჩვენებოდათ იმათ ქჳყენიურ სამოთხეთ. დააქციეს რა ქალაქი ესე **999** წელსა, რობერტ კოროლმა აღადგინა ისევ და აირჩია ჩვეულებრივ თავის სამყოფელად. აქ ისა, ეკკლესიაში ხშირათ გალობდა ხოლმე, საეკკლესიო ტანისამოსში, ფსალმუნებს, რომელიც ასწავლა იმას ჩინებულმა გერბერტმა, რომელიც შემდგომში იყო რომის პაპათ, და იწოდებოდა სილვესტრ მეორედ.

რობერტმა დააფუძნა მელენის მიწაზედ მრავალი მონასტერი და იმათ შორის ერთიც ბიერის ტყეში, რომელსაც ეხლა ჰქჳან ფონტენებლოსი აქედამ წავიდოდა ხოლმე ის სანადიროთ, და წელთ აღმწერნი სთვლიან იმას პირველ დამაფუძნებელად ამა სამთავროისა ლუდოვიკ ჭაბუკის დროს ფონტენებლო შეიქმნა ჩინებულ ციხე დარბაზათ, თჳსის კოშკებით და თხრილებით

ერთი ქარტა, იქ ხელმოწერილი, უჩვენებს, რომ იქ უცხოვრია არხიეპისკოპოზს თომა ბეკეტსა, რომელიც იყო ერთი უპირველესი ანგლიის სახელმწიფო კაცთაგანი. სურვიელისა მიერ ლუდოვიკ მეშჳდისა თომა ბეკეტმა აკურთხა ფონტენებლოს კაპელლა (ეკკლესია)

მშჳენიერმა და ჩინებულმა აგნესა დემერანიმ მიიღო ფონტენებლოში საქორწინო გვირგვინი, რომელიც უღირდა შემდგომში მრავალ ცრემლად. იმ დროდგან იქ იწყეს ჩინებულთა ასპარკ ხმობათა (ფალავანობათა), რომელიც განგრძელდებოდნენ მეთექვსმეტე საუკუნემდინ.

ღირსეულს ლუდოვიკის დედას ბლანკა კოსტილიისას უყვარდა ფრიად ზიერის ტყე და აქამდინ დაცულია ძველი მუხა, რომელსაც ჰქჳან იმისი სახელი.

თჳთ ლუდოვიკ მეცხრე, როდესაც კვდებოდა წმინდას ქჳეყანაში, მწუხარებით მოიგონებდა ფონტენებლოს უდაბნოებს. მისი ოთახი აქამომდე მთელია სასახლეში. ის უხვად ურიგებდა ფულსა ღარიბთა ბერებთა ფონტენებლოში; მოხსწილეობდა ეკკლესიურს ლითანიებში, ელაპარაკებოდა ბერებს, როგორც უბრალო ბერი. ჟუანვილ მოგვითხრობს, რომ ის ყოველდღე ჰკვებდა ღარიბთაო; ზოგნი სჭამდენ იმათგანნი პურსა თჳთ იმის ოთახში, რომელთაც თჳთ უჭრიდა პურსა და თავის ხელით ასმევდა წყალსაო. ფონტენებლო კადებულია პირველის თავისის სასნეულოს სახლით და წმინდის სამების ეკლესიით ლუდოვიკ წმინდისა. ეს ეკლესია ხელახლად აშენებულია ფრანცისკ პირველის დროს **1529** წელსა.

მეუდროს მეფობის დროს ფილიპე გრძელისა დაიწყო ფონტენებლოში უგუნურმა გმირობამ სიყვარულისათჳს ტანჯულთა. იმათი კანონი მდგომარეობდა იმაში, რომ უნდა დაეტანჯა თავი სიცივით და ყინვით დასამტკიცებლად თჳსის სიყჳარულისა აღრჩეულის ქალისადმი. ერთი ძველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მრავალნი გან-

გალიით იხოცებოდენ ხოლმე ქალნი კაცების წინ და კაცნი იმათ წინ, მაგინებელნი მათნი, ვინც ყინვაში იცვამდა ტანთ თიბილათ.

ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ზოგს უხსნიდენ კბილებს დანით და შეიქნებოდა ხოლმე საჭირო დაზე-ლა იმათის ტანისა, ვითარცა გაყინულთა. კაცნი თუ ქალ-ნი, რომელნიც მოიკლავდენ ამ გვარათ თავს, ითვლე-ბოდენ ტანჯულათ სიყუარულისათჳს

ბრძენმა კარლმა, დამაფუძნებელმა ბიბლიოტეკებისა სხუა და სხუა ადგილსა, დააწესა ესეცა ფონტენებლოშია-ც, ეს ხელმწიფე იყო ისეთი სიბრძნის მოყვარე, რომ გმა-ყოფილებით უსმენდა მსწავლულთა საუბარსა და სთვა-ლიდა მათ [illegible] სახელმწიფოჲსა ის იტყოდა ხო-ლმე ხშირად: «[illegible] სახელმწიფოში ექმნებათ პატივის ცემა სიბრძნისა, ის ყოველთჳს ყვავილოვანს მდგომარე-ობაში იქნება» —

კარლ მეხუთეს სურდა, რომ სწავლის მოყვარეთა შე-ძლებოდათ ეშრომათ ბიბლიოტეკებში დღისითაც და ღა-მითაც, და ამისათჳს უბრძანა განეთებინათ ისინი ღამით ლამპებით და სამთლებით ვერცხლის შანდლებში.

ჩუენს დროში საყოველთაო ბიბლიოტეკა არი გაღე-ბული ხალხისათჳს დღეში მხოლოდ ოთხი ანუ ხუთი საათი.

კარლ მეშჳდემ, ლუდოვიკ ია-მა, კარლ მერვე და ლუ-დოვიკ იბ-მა. თითქმის თავი დაანებეს ფონტენებლოს. ბოლოს დასდგა მისთჳს დრო ფრანცისკ ა-ს. ფრანცის-კი იყო მამაცი და კეთილშობილი გმირი. არა მიმ-ხედი მისა, რომ იმან დაჰკარგა მილანის სამფლობელო-

ნი და ჩავარდა მახეში, რომელიც იმას დაუგო იმპერატორმა კარლ მეხუთემ, ისტორია მიაჩემებს იმას დიდებას მსწავლულთ მფარველისა და მეგობრისას, ეგრეთვე არტისტებთა, მწერალთა და ხუროთ მოძღვართა. სახელები: მაროსი, რონსარის, ბიუდესი, ეტიონნისა ლეონარდოდე ვინჩის. პრიმატიჩიოსი, როსსოსი, ჩელლინისა, ჟერმენისა და პილლონისა შეადგენენ დაუჭკნობელს და დაუვიწყარს მშვენებას თვალთა შინა შთამოებისას

ფრანცისკ პირველმა მიუწოდა ფონტენებლოში ლეონარდე დევინჩსა სამოცდა ათის წლის მხატვარმა, რომელსაც მშვენიერნი სამაგალითონი ხატვრობანი მიქელანჯელოსა არ იძინებდნენ მოსვენებით, მოინდომა, რომ ყოფილიყო პირველ პირათ საფრანგეთში, ვინემ მეორეთ იტალიაში ის შევიდა საფრანგეთში **1515** წელში; მაგრამ არა იმ ბრწყინვალებით, სიხარულით და მშვენიერებით; არა ოქროთი და აბრეშუმით, რომლითაც ხედვიდენ იმას ფლორენცია და მილანი, არამედ გაცვეთილის ტანისამოსით, დაუვარცხნელის თმით. წვერ გამოშვებული, ამღვრეულის თვალებით და სამწუხაროს სახით. იმან ძლივს მოასწრო იქ დაესრულებინა ოთხი ჩურათი? რათამცა არა დაკარგულ იყო არცა ერთი შუქი იმა შთამომავლის მზისა, კოროლი თჳთონ მისცემდა ხოლმე კისტსა (ბეწვის კალამსა), როდესაც ის გავარდებოდა ხოლმე ლეონარდსა დასუსტებულის ხელიდგან. როდესაც ნახა, რომ მოახლოვდა უკანასკნელი იმისი საათი ლეონარდოდე ვინჩი დაფიქრდა ღმერთზედ, და ადგა ლოგინიდამ მისაღებელად წმინდის საიდუმლოჲსა იმ დროს

მივიდა იმასთან ფრანცისკე პირველი, და დააწვინარა ისევ ლოგინზედ ჩინებული აგათმყოფი, იწყო იმასთან საუბარი იმის მხატვრობაზედ ლეონარდი ითხოვდა ბოდიშს ღმერთთანაც და ქვეყანასთანაც, რომ იმან საკმაოდ ვერ იშრომა მხატვრობისათჳს. მაშინ გული წაუვიდა იმას უცებ; კოროლს თითონ ეჭირა იმისი თავი, შესამსუბუქებლად მისთა ტანჯჳსათა. და დიდმა მხატვარმა მისცა ბოლოს სული თჳსი ღმერთსა თჳთ კოროლის ხელში

შემდგომ ლეონარდისა დასდგა დრო ანდრია დელსარტოსი ძე საწყალის მკერვალისა ფლობდა დიდთა ნიჭთა, მაგრამ იყო სუსტი ხასიათით: ის ემორჩილებოდა ჟინთა თჳსისა ცოლისა, რომელმაც ის დაღუპა ფრანცისკ პირველს ჰქონდა იმაზედ სრული დარწმუნება კოროლი ისე აღტაცებული იყო იმის სურათით, რომელიც წარმოადგენდა სიყუარულს მახლობელისას რომ მოუმატა იმას პენცია, დააფიცა, რომ ის ნიადაგ დარჩენილიყო საფრანგეთში, და მიანდო იმას განმშუენება ფონტენებლოსი.

დელსარტო იმ მიზეზით წავიდა იტალიაში აღუთქუა კოროლს მოტანა იქედამ სამაგალითოთა ხელოვნებათა. კოროლმა გაატანა იმას იმისთჳს საკმაო ფული.

მაგრამ დელსარტო, როდესაც მივიდა ფლორენციაში დაემორჩილა თავის ცოლის ლუკრეციის ნებას და დააბანია ფრანცისკეს ფული ცოლის ტანისამოსზედ. და იმ დროს როდესაც მოღალატე ცოლი იმისი გაიქცა და დაიმალა სადღაც, მოვიდნენ კოროლის გამოგზავნილნი კაცნი და ჰკითხეს, თუ როგორ შეასრულა იმან კოლო-

ლის დაბარება.

თქუჱნ მკითხავთ კოროლის დაბარებისას? შესძახა იმათ ანდრიამ, „მოკლულმა მწუხარებით, „მოახსენეთ კოროლს ფრანცისკე პირველს, რომ მე ვარ ქურდი; მე მოვიპარე იმისი ფულები ჩემს ცოლს უყვარდა კმაყოფილებანი; უ, უ. გული ქალისა უფსკრულია! მამა ჩემი იყო უბრალო მუშა; ნიჭმა, რომელიც იმან ჩემში შენიშნა, აფიქრებინა იმას, რომ მე ვითომც მმფარველობს მისანი (ფორტუნა) მე შევიქენი მხატვრათ, მაგრამ ოქროს სიყვარულმა დამღუპა მე იქნება ჩემში იყო გენი (დიდი ნიჭი). ანუ მსგავსი რამე მისი მაგრამ მე ერთობ ჩქარა ვათავებდი სურათებსა, და ამისთჳს ყოველთჳს არ ამიღია შესაფერი სასყიდელი და ნაღდი ფული როდესაც მე შევეყარე ლუკრეციას, ისე მომეწონა მე ისა, რომ მეგონა ეს არის ყოველივე ჩემი ოცნება აღსრულდება სიყვარულმა დაღუპა ჩემში გენი და მომაკლო თჳთ ბედნიერს მდგომარეობას საზოგადოებაში. ხროვა ოქროთა იყო ჩემს ხელში! არც ერთს მხატვარს ქუჱყანაზედ არა ჰქონია ამ გვარი ჩაბარება. მე შემეძლო წამელო საფრანგეთში ასი სამაგალითო ხელოვნება; შემეძლო მიმეცა შემწეობა ასის ღარიბის გაჭირვებულის მხატვრისათჳს; შემეძლო მეთამაშნა როლი სულგრძელის ანუ კეთილის მოქმედის გენიისა; მიმეღო კურთხევა მამეულობისა. და შემდგომ ამის ყოვლისა შემეძლო შემკობა სასახლისა ჩინებულის მჯროფასის ნამუშავრებითა და აღნიებს საღმრთო ხელოვნებისა ცეცხლისა, რომელიც მზა იყო გამქრალიყო ფლორენციაში აი რა შემეძლო შექმნა! ხოლო

რეისა და როსსო უთუოთ უნდა დაცემულიყო, თუ რომ იმას არ შესწევნოდა გერცოგინა დეკტანში

უკმაყოფილება იმ ორთა ნიჭთა გაგრძელდა რამოდენსამე წელსა; ბოლოს ფრანცისკმა შეაერთა ის ორი ნიჭი, იმისთჳს რომ ღირსეულათ მიეღო იმას სტუმართ იმპერატორი კარლი მეხუთე, რომელიც იმ დროს მოვიდა საფრანგეთში.—

მაშინ ფონტენებლოში დაიწყეს უჩვეულონი და უნახავნი დღესასწაულნი. არაოდეს ეს ორნი დაუძინებელნი მტერნი არა ჩვენებულან ისე მეგობრებათ როგორც მაშინ; როდესაც იმპერატორი შევიდა ტყეში, ნახა იქ ყველა ღმერთები და ღმერთაები ოლიმპიისა; ისინი თამაშით გაჰყვნენ იმა სასახლემდინ, აქ იმას მოეგებნენ საყვირებითა დაბდაბებითა და სხჳა საკრავებითა —

მერე მოჰყვნენ სადილებსა, ნადირობასა, ასპარეზობასა. ერთის სიტყჳთ სახლის პატრონი ხარჯავდა ამ წვეულებაზედ დიდს ფულსა, და სტუმარი აძლევდა იმას სხჳა და სხჳა აღთქმებს. რომელნიც იმან მალე დაარღვია.—

შერიგებაც პრიმატიჩიოსი და როსსოსი იყო მოკლეს ხნისა. პირველს ჰქონდა მეტი ტალანტი და უკანასკნელს მეტი ამპარტავნება. როსსო როდესაც ჩავარდა რისხვას ქჳეშ, შეიქმნა ისეთი იჭჳნეულიანი, რომ, როდესაც იმას მოჰპარეს რამოდენიმე ათასი ოქრო, შესწამა ამაზედ ცილი თავის მეგობარს პელლეგრინოსს.

საწყალი პელლეგრინო ჩააგდეს ჯაჯაში (**Пытка**). მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა ის უმანკოთ. რომელმაც შემდგომში დასწერა თავის ცილის შემწამებელზედ საშინელი

სატირა როსსო ამაზედ მოვიდა სასოწარკვეთილებაში, გაგზავნა პარიჟში საწამლავზედ და მით შეიმოკლა თავის სამწუხარო დღენი. საწამლავი იყო ასეთი ძლიერი, რომ კაცი, რომელმაც ის მოუტანა, კინაღამ მოაკლდა ერთის თითს, რომელიც იმან დააფარა მინის მოხდის დროს

პრიმატიჩიო მაშინ დარჩა სრულ პატრონათ ფონტონებლოში და აავსებინა უმჯობესნი წარმოებანი თავის მტრისა, რომელზედაც თვითონ დაიწყო მუშაობა შემდგომში იმას გამოუჩნდა მოცილეთ ბენვენუტო ჩელლინი

ეს საშინელი ჭკუიანი კაცი იყო ერთსა და იმავე დროსა, მქანდაკებელი, ოქროს მჭედელი, ქვაზედ მომჭრელი სალდათი. და უფრო ყველაზედ ტრაბახა. ის იყო კაცი მაღალი და ძლიერი, მხატვარი და შურის მძიებელი, უშიშარი, სხვით უკმაყოფილო და თავის თავით ნიადაგ კმაყოფილი, ყოველის მასალიდაგან მხა იყო გაკეთებინა რამე ოსტატური ხელოვნება ყოვლის ღონის ძიებას გამოიყენებდა ის შესასრულებლად თავის განზრახვისა და სურვილისა; რომლის აღების დროს ის ომობდა როგორც გმირი; მარტო განაგებდა ხუთს ზარბაზანსა, დაიხსნა წმინდის ანგელოზის ციხე დარბაზი; და კლიმენტ მეშვიდე; სრულიად მისი ცხოვრება იყო შემდგარი ჩხუბისა და დუელისაგან; (ხმალში გასვლა), იმაში იყო შეერთებული ყოველი ღირსება და ნაკლებულება; ყოველი ნიჭი და ბიწიერება მაშინდელთა იტალიანელთა.

ნიჭი ჩელლინის ძრიელ მოეწონა ფრანცისკ პირველს; იმან დაიბარა ის ფონტენებლოში და შეუკვეთა გაკეთება თორმეტის ვერცხლის სტატუისა, სახედ კედლის შანდრებისა

გასანათლებელათ სასახლისა ნადირობის დროს თჳთ ჩელლინმა წარუდგინა პლანი დიდის შადრევნისა მრგვალის კიბით, რომლისაც გაკეთებას ის დაჰპირდა ეს უნდა ყოფილიყო ახალი რამე არათუ საფრანგეთში, არამედ იტალიაშიაც. ფრანცისკმა, ამისმა გამგონმა, დაუკრა სიახარულით ტაში და სთქუა: ძლივს არ ვიპოვნე კაცი ჩემის სურვილისა!

მერე დაჰკრა ჩელლინს მხარზედ ხელი და უთხრა: აბა გამოიცან მეგობარო ჩემო, ვინ უფრო ბედნიერია: კოროლი, რომელმაც იპოვა ესრეთი ოსტატი, როგორც შენა, თუ ოსტატი, რომელმაც იპოვა ასეთი ხელმწიფე როგორც მე?

თუ რომ შეასრულებ ჩემს პლანსა, მაშინ ოსტატი უფრო ბედნიერი იქნება, მიუგო ჩელლინმა.

მაშ ეცადე შეასრულო, განაგრძო კოროლმა და ჩუენ ორნივ ვიქნებით კმაყოფილნი ერთმანერთით.

ადვილი წარმოსადგენია სიხარული ჩელლინისა მაგრამ ძნელი წარმოსადგენი იყო ის, რომ რამოდენისამე დღის უკან ჩელლინმა სცნო, რომ შადრევნის გაკეთებას აბარებენ პრიმატიჩიოს. ეს უთხრა იმას ერთმა სასახლის კარის კაცმა.

თქუენ მართალია აამებთ კოროლსა, უთხრა ჩელლინსა იმან, მაგრამ დაგავიწყდათ მოგეპოვნათ კეთილ განწყოსილება გერცოგინა დეტანპისა, რომელიც უმშუენიერესი და უჭკუანესია ყველაზედ ეხლანდელს ქალებში. თჳთ ფრანცისკი ემორჩილება მისს გემოს აქ ფონტენებლოში თუ რომ კოროლი იქნება თქუენკენ. მაშინ ის

ქალი იქნება პრიმატიჩიოსაგან და ამისთჳს წავართვათ იმათ მუშაობა; ეცადეთ როგორმე გამართოთ თქუჱნი შეცთომა.

ჩელლინი უთუოთ დაარჩობდა პრიმატიჩიოს, თუ, რომ ის ჩავარდნოდა მაშინ იმას მრთოლვარე ხელში, მაგრამ როგორც იყო მოითმინა იმ ღამეს; ადგა მეორეს დილას და წავიდა გერცოგინიასთან სენჟერმენში. ის ჰგონებდა, რომ მოწყალე ჰყოფდა განრისხებულს ღმერთას, მირთუმევით ამშჳენიერის თჳსის ხელოვნებით ჯამის მინაქრით ნაკეთებით.

მოახლემა მისმა ზრდილობით განუცხადა ჩელლინს, რომ ქალბატონი ისევ ტანს იცვამსო.

ბენვენუტო ჩელლინმა მოითმინა ერთი საათი მერე გამოვიდა მოახლე და უთხრა, რომ ქალბატონი ჯერ თმას იწნავსო.

იმან მოითმინა კიდევ რამოდენიმე საათი, თუმცა იმას აწუხებდა ძრიელ შიმშილი.

შემდგომ უთხრეს ჩელლინს, რომ გერცოგინია ჯერ ფერხთ იცვამსო.

ამ მოლოდინებაში განვლო თერთმეტმა საათმა, და ამიტომ ჩელლინს ენა გაუშრა და თავბრუ ეხვეოდა.

ბოლოს გამოვიდნენ, და საკუთარის ზრდილობით და მონაწილეობით განუცხადეს, იმას რომ გერცოგინიას გული წაუვიდაო და იმას უნდა მიართვან საჭმელი, ვინემ ინებებდეს ლოგინში დაწოლასაო.

კარგი! იმის საჭმელი მე მერგება, დაიძახა ჩელლინმა, გამოსულმა უკანასკნელის მოთმინებისაგან, და გაცოფიანებულმა წყურვილისა და შიმშილისაგან; და იმ დროს

დაინახა კიდეც, რომ მართლათ მიჰქონდათ გერცოგინა-სთან ერთი ბოთლი მშჳენიერი სასმელი, რომელიც წა-გლიჯა კელში მოსამსახურეს და ერთის მოულოდებით გა-მოსცალა; მერე წაართვა იმას საჭმელი, ჩაისხა იმ ჯამში, რომელიც მღვნათ ჰქონდა გამზადებული და დაბრუნებუ-ლი შინ ჰსჭამდა იმას სიხარბით კიბეზედ და გზაში.

ვინემ ფრანცისკი და ეტანში ამაზედ იცინოდნენ, ბე-ნვენუტომ აიღო ხანჯალი და წავიდა თავის მოწინააღ-მდეგესთან. იმან მოკლედ მოსთხოვა ის სამუშაო, რო-მლისაც პლანი იმან შეადგინა პრიმატიჩიომ უარი უთ-ხრა; მერე ჩელლინმა მისცა იმას შემდგომი წინადადება: ჩვენ ორთავ გავაკეთოთ შადრევნის პატარა სახე, რომე-ლიც იმაში კოროლს მოეწონება, გაკეთება იმისი იმას დარჩეს; იმისიც უარი უთხრა.

მაშინ ჩელლინმა უთხრა იმას: აი ჩემი უკანასკნელი პირობა. მე ხვალ დავიწყებ შადრევნის კეთებას, და თუ შენ ხმას ამოიღებ იმაზედ; იფიქრებ იმის წართმევას, მაშინ მე მოგკლავ შენ, როგორც ძაღლსა; მშჳდობით!

უთხრა ესე და გამოვიდა იმისაგან ჩელლინი, რომელ-მაც დაუტევა ის ძრიელ შეწუხებულ მდგომარეობაში.

ეს პირობა აღმოჩნდა ძალიან კარგი, ამიტომ, რომ მეორეს დღეს თითონ პრიმატიჩიო მოვიდა ჩელლინთან, მოთხოვა ბოდიში; მისცა იმას სამუშაოდ და თვითონ წა-ვიდა იტალიაში მარმარილოებზედ.

აი როგორ შეეშინდა ჩემის ნიჭის, სთქვა ბენვენუ-ტო ჩელლინმა, როდესაც მოწინააღმდეგე მისი მოშორ-და იმას (საგონებელია რომ იმას შეეშინდა არა მისის

ნიჭისა, არამედ მისის ხანჯლისა.)

როდესაც დაბრუნდა იტალიიდამ პირიმატიჩიო, იწყო მისსა და ჩელლინის შორის ახალმა ბრძოლამ და მეტერობამ

გერცოგინიას არ დაუვიწყნია ის შეურაცხება, რომელიც მიაყენა იმას ჩელლინმა. პრიმატიჩიომ მოიტანა იტალიიდამ სხჳა და სხჳა მასალები და ნიმუშები მშჳენიერთა ხელოვნებათა, და იქიდამ გააკეთა სამი სურათი რომელნიც ძალიან უქო კოროლს

წინააღმდეგ იმა ხელოვნებათა, ჩელლინმა წარმოსდგა თჳსი ვერცხლის იუპიტერი, რომელიც იმან იმ დროსთჳს შეასრულა.

„მე დავსდგი, სწერს თითონ ჩელლინი თავის ზაპისკებში, იუპიტერი გარაყიანს ტახტზედ, სადაც იყო გაკეთებული ოთხი საშუღლოვეც. ამისთჳს სტატუი იყო ისეთი მსუბუქი, რომ შეეძლო პატარა ბავშვს წაეღო აქეთ იქით მე ვკითხე კოროლს: სად ჰნებავსთ, რომ დაიდგას მეთქი ჩემი იუპიტერი? იმის მაგიერათ გერცოგინამ მოპასუხა: დიდს ფრანცისკის გალერეაშიაო. ის იყო სიგრძით ასი და სიგანით თორმეტი ნაბიჯი და იყო მორთული მშჳენიერი როზსოს ხელოვნებით იმის სურათების შორის დასდგეს ბევრი სხჳა სტატუებიც; აქ იყვნენ პრიმატიჩიოს ბრონზიდამ ჩამოსხმულნი მშჳენიერნი სხჳა და სხჳა ხელოვნებანი

სტატუები ესე იყვნენ კოპიონი უმჯობესთა რომის წარმოებათა, და აი ამ ზალაში გადვიტანე მეც ჩემი იუპიტერი, და როდესაც დავინახეთ თუ რა წესით იყო

დადგმული ყველა, მივხვდი იმათ განზრახვასა და ვსთქჳ აქ მე უნდა ვებრძოლო მტერობასა და შურსა; რა გაეწყობა მეთქი, ვსთქჳ, ღმერთი იქნება ჩემი შემწე, და დავსდგი რაც შეიძლებოდა ისიც კარგს საჩინო ადგილს. მარჯუენა ხელში იუპიტერს დავაჭერინე ქუხილის შჳლდ ისარი და მარცხენაში ქუეყნიური ბურთი, ძალიან ოსტატურა დავმალე მე შჳლდისარის კონაში წმინდა სამთლის ნამწვი.

ეტანპმა შეაყენა იმისი დიდებულება საღამომდინ იმ განზრახვით, რომ ანუ სულ ვერ დაენახა კოროლს ჩემი იუპიტერი და ან ენახა ბნელაში, რომ ჩემი შრომა არ გამოჩენილიყო ჩინებულად, მაგრამ საქმე გამოვიდა სხუა ნაირად; როცა დაბინდდა, მე ავანთე სამთელი იუპიტერის ხელში, რომელიც თავს ზევით ჰქონდა აშვერილი და შუქი ნათლისა, რადგან ეცემოდა ზევიდგან, აწარმოებდა უფრო სასიამოვნო სანახავს, ვინემ დღის ნათელში კოროლი მობძანდა და მოჰყუჳნენ თანა გერცოგინა ეტანპი, მემკჳდრე თავისის მეუღლით, ნავარიის კოროლი. სიძე იმისი და ასული მარგარიტა და სხუანი დიდნი კაც-ნი, რომელნიც გერცოგინამ ამიმტერა მე; როცა შევხედე, რომ კოროლი მოახლოვდა, მე ვუბრძანე ჩემს მოწაფეს ასკანიოსს, რომ იმას წყნარათ მიეგორებინა იუპიტერი იმის დიდებულებასთან ამ მოძრაობამ მისცა იუპიტერს სიცოცხლე. სხუა სტატუები დარჩნენ უკან, ასე რომ კოროლს ყველაზედ პირველად წარმოუდგა თვალ წინ ჩემი იუპიტერი. მაშინ კოროლმა დაიძახა: «ამაზედ უკე-«თესი სტატუი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. მე ძრიელ

«მიყვარს ხელოვნება და მესმის კიდეც იმისი ღირსება, «მაგრამ მე ვერ გამოვიხატავდი ვერც შესედს იმ კმაყო-«ფილებისას, რომელსაც ეხლა ამის ყურებით მე ვგრძ-«ნობ »

კაცნი მოსულნი იმ განზრახვით რომ დაეწყუნათ ჩემი მუშაობა, აქ ყველანი თანახმა გაუხთენ კოროლს, მხო-ლოდ ბერტოვინამ კი დაიძახა: შეხედეთ იქით მორს იმ მშუჱნიერს ბრონზის სტატუებს! აი იქ იმაში არის ნა-მდვილი ღირსება, და არა ამ ბოვშვის სათამაშო იუპი-ტერში,

ფრანცისკი მივიდა პრიმატიჩიოს სტატუებთან და სხ ანიც მიჰყვნენ თანა იმან მხოლოდ თვალი გადაავლო იმათ, მაგრამ, რადგან ისინი იყვნენ განსათლებულნი ქვე-მოდგან არა ჰქონდათ მნახველებზედ ის ძლიერი მოქმე-დება, რომელიც ჰქონდა ჩემს იუპიტერს და ამისა-თჳს კოროლმა ჰსთქჳა; «ვისაც უნდოდა დაემდაბლებინა «შრომა ამ კაცისა, იმან აღმოუჩინა იმას დიდი სამსა-«ხური; ამიტომ, რომ სხჳა სტატუები მხოლოდ ამრავ-«ლებენ ამ იუპიტერის ძალას და მშჳნიერებას, მაშასა-«დამე ბენვენუტო ღირსია საკუთარის პატივისცემისა; «იმისნი მუშაობანი არა თუ ემგზავსებიან ძველთ ჩი-«ნებულთა წარმოებათა, არამედ აღემატებიან კიდეც «იმათ »

ბერტოვინამ ამაზედ მიუგო კოროლს და სთქჳა: რომ ჩემს ხელოვნებაში დღისით არ იქნება არც მეათედი იმ ღირსებისა რომელიც სჩანს ღამით; რომ საჭირო არის მიმართვა ყურადღებისა იმ სახურავზედ, რომლითაც და-

ხურული იყო სტატუი; (ეს იყო მსუბუქი წამოსასხამი, რომელიც აძლევდა იუპიტერს მეტს დიდებას), ამისმა გამგონმა მოვხადე ის სახურავი. (დრაპიროვკა), და დავუ-ხიე გაჯავრებულმა.

ეს გერცოგინამ მიიღო შეურაცხყოფად და მოახსენა ქსე კოროლს; მაშინ მეც, თითონ რისხვით აღტაცებუ-ლსა, მინდოდა მეთქვა რამე გერცოგინისათჳს, მაგრამ ბრძენმა ერთ მთავარმა ნება აღარ მომცა და მითხრა ფრანციცულად: «ბენვენუტო! აღგიკრძალავ შენ ლაპარაკს; «მოსვენებით იყავი, მე შენ მოგცემ ოქროს ათას გზის «იმაზედ მეტს, რამდენიც შენ გსურდა»

მე მაინც კიდევ ვთრთოდი რისხვით: ეგრეთვე გერცო-გინა ჩემზედ ჯავრობდა და რაღასაც ჩასჩურჩულებდა კო-როლს ყურში, მაგრამ იმისი დიდებულება წაბრძანდა როდესაც მიდიოდა სთქუა კიდევ ჩემს სანუგეშოთ; «მე «მოვაყვანინე იტალიიდამ თჳთ უპირველესი ნიჭი, რო-«მელიც მუშაობს სხუა და სხუა ფერს ხელოვნებას» მე-ორეს დღეს, იმ წამში, როდესაც მე უნდა გავსულიყავ ფონტონებლოდამ, კოროლს გამოეგზავნა ჩემთჳს ათასი მგი ფული, ზოგი ჯამაგირის რიცხვში და ზოგი მასა-ლებისთჳს, მე მხიარულად მივიღე ფული და კმაყოფი-ლი წაველი პავიაში. მაგრამ იმისი დიდსასწყალობა და მლევა არ იყო გრძელყამიერი გერცოგინამ მოინდომა გარდაეხადნა იმისთჳს თჳსი შეურაცხყოფა, და მოახერხა კიდეც ისე, რომ მოავლო ჩელლინს კოროლის კეთილ — განწყობილება, თჳნიერ სამუშაოსა უფულო, უსამუშაო ცხოვრებისა ჩელლინი ფვიროდა, ემუქრებოდა ფეხდას და

მწუხარებით დაბრუნდა იტალიაში იმ დროს, როდესაც მისს მოწინააღმდეგეს მიცეს კომერდინერობა ფრანცისკე პირველისა, აბბატობა სენმარტენის ეკკლესიისა და პირველი ზედამხედველობა მუშაობათა ფონტენებლოში.

მთელს წიგნს შეადგენდა აღწერა იმა დიდთა დღესასწაულთა, რომელნიც ფრანცისკმა გამოიარა ფონტენებლოში

იმის შჳლის შჳლის ფრანცისკ მეორის ნათლობაში წარმოადგინეს მზე ათასის ფაკელით; ტანცაობდნენ და წარმოადგენდნენ ბალეტებსა ყველას ზალებში; იქ იყვნენ მრავალნი მეფის შვილნი, დიდნი კაცნი ჩაცმულნი ძჳრფასათ; ნავენი დასცურავდენ არხებში და საგუბრებში; მთელი ლაშქარი გმირულათ ჩაცმული რამდენიმე ათასის კაცით დაეცემოდენ ანუ იცავდენ ბასტიონებსა ხმელეთზედ ანუ წყალზედ

დაბადება ელისაბედის იდღესასწაულეს კიდევ უფრო მდიდრულათ. მთელი ეზო გადააქციეს ერთ ზალათ, რომელსაც გამოაკრეს სხჳა და სხჳა ძჳრფასი ხალიჩები; შუა ადგილს დადგეს თეატრი და ვარაყიანი ანძები; იმათზედ იყო დამყარებულიცა ლაჟვარდის ფარჩისა ბრილიანტის ვარსკვლავებით უმთავრეს ანძასთან იყო ამართული სანოვაგო (ბუფეტი) ცხრა ეტაჟიანი; იქ ელაგნენ ნივთნი ძრიელ მძიმის ვერცხლისა და ოქროსი, ყოველი საგანი ხელოვნებისა, მოპოვებული ერთ მთავრობისაგან დროიდგან დიდის კოროლისა; იმათ გარეშემო ეწყო ყოველივე რაც კი ასიამოვნებდა გემოვნებას, თჳალს და საყნოსავს, დიდს ბალდახინს ქუეშ, რომელიც

იყო გაკეთებული ოქრომკედით ნაქსოვის ფარჩისაგან, იდგნენ მრავალნი დიდებულნი კარის კაცნი სადღესასწაულო ტანისამოსით.

სტუმრებად ამ ჩინებულს დღესასწაულზედ და შექცევაზედ იყვნენ, კოროლები, მათის შემკვდრებით ჯიგრის ფერის ტანისამოსით; ეპისკოპოსნი საარქიერო მანტიებით, დიდნი კაცნი და ქალნი ძჳრფასათ მორთულნი.

შემდგომს წელში, ესე იგი **1546** წელს ფრანცისკი პირველი გახდა ავათ და უბრძანა წაეყვანათ ის რამბულიეში, სადაც ის გარდაიცვალა. იმას ისე უყვარდა ფონტენებლო, რომ, როდესაც ის იქითკენ განემგზავრებოდა ხოლმე, ყოველთჳს იტყოდა შინ უნდა წავიდეო.

ვილგელმ მორენი გვარწმუნებს, რომ ფრანცისკმა აჩვენა ერთხელ სრული თავის ღონე და მამაცობა ერთს ტყეში ერთი საშინელი გველი აშინებდა მონადირეთა და მიწის მუშათა. არ იყო შესაძლებელი, რომ ბევრი ხალხი გასულიყო იმის წინააღმდეგ მოსაკლავათ, ამიტომ, რომ ის იმალებოდა კლდეების გამოქვაბულებში საჭირო იყო, რომ მხოლოდ ერთი კაცი შებმოდა იმას როდესაც სხვამ ვერავინ გაბედა იმისი შებმა, მაშინ იმან ჰსთქჳა: მე გავალ თითონ, და ჩაიცვა რა ჩაჩქანი მოჭედილი გალესილს სამართებლებით. გავიდა; გველმა როგორც დაინახა ის, შეახტა ზედ და შემოეხვია გარეშემო, მაგრამ სრულიად დაიკუწა სამართებლებზედ. კოროლს, ჩაჩქანს გარდა ჰქონდა ხელში ორი მახვილი, რომლითაც შემუსრა საზარელი ცხოველი; როდესაც ის დაბრუნდა სახლში, მრავალი ხალხი ელოდა იქ ქების შესასხმელად

მოკვლისათჳს იმ მომწამლავის ცხოველისა.

შემდგომ ფრანცისკეს სიკუდილისა ფონტენებლოში მოხდა სხუა და სხუა ცვლილება. გენრიხის მეორეს დროს ადგილი გერცოგინა ეტამპისა დაიჭირა გერცოგინა ვალენტინუამ. ეს იყო ქალი კეკლუცი, გარნა ამპარტავანი, და განაგებდა ფონტენებლოში ყოველსავე სრულის თავისუფლებით გენრიხკი ცდილობდა მხოლოდ იმას, რომ ყოფილიყო პირველი ცხენოსანი საფრანგეთში.

ვალენტინუამ ყოველგან დასდვა თავისი ღერბი, ესე იგი ჭიშკრებზედ, ლუვრის სასახლეზედ. შორის მშვენიერთა ხელოვნებათა ჟუჟონისა და ეგრეთვე იმა ფონტენებლოს ეკკლესიაში, რომელიც ეხლა გარდაქცეულია ბიბლიოთეკათ.

ეს სასახლე შეიქნა ვალენტინუასთჳს ტაძრად, და შესასრულებლად იმისის ჟინიანის ნებისა. ის მშვენდებოდა მხედველობასა ქუეშე პრიმატიჩიოსა. სახე იმისი გარდასცა ყველა ღმერთაებს, რომლითაც გაავსო ბალების ზალა, რომელსაც ეხლა ეწოდების გაალერეია გენრიხ მეორისა (1), მრავალნი დიდის მთავრობის პირნი მიდიოდნენ ფონტენებლოში ენახათ ის ასპარეზობა, რომელსაც განაგებდა ვალენტინუა.

(1) პეტრე მონდორემ, ფონტენებლოს ბიბლიოტეკარმა, გენრიხ მეორის დროს გამოითხოვა იმისგან ბრძანება, რომ ყოვლის წიგნისაგან რომელიც გამოიცემოდა თითო ეგზემპლიარი გაგზავნილ იყო სახელმწიფო

შემდგომ გენრიხის სიკუდილისა, გერცოგინა გავიდა ფონტენებლოდამ თავის მამულში ანეს ციხე დარბაზში. გავიდა ის და მოწყდა კიდეც ლხინი, შექცევა. და დღესასწაულები ფონტენებლოში.

**1560** წელსა ფრანცისკე მეორეს დროს ნაცვლად სადღესასწაულო ტანისამოსისა დიდთა კაცთა, მწერალთა და არტისტებითა. ფონტენებლოში დაემკვდრენ შავნი მანტიებნი და ჩაჩქანები სხუა და სხუა კრებათა

აქ გამოცხადნენ: დაღვრემილი ლოტარინგის კარდინალი ფრანცისკე გიზო, მარშალი მონმორანსი რვაასის შეჭურვილის აზნაურით. მრავალის ეპისკოპოზებით მხედართ მთავრებით და მსაჯულებით მიერის ამათსა ამ სამწუხარო კონგრესზედ (შეკრებილებასზედ). მნათობდა ჭაბუკოვანი და მშვენიერი კოროლევა მარიამ სტიუარტი, რომლისაც შემძლებლობა და სიხარული არ იყო გრძელჟამიერი, და ჩინებული ეკატერინა მედიჩი, რომელიც ალიჭურვა მღვიმვარებითა რომ უფრო სარწმუნოდ მოეწყლა თავისნი მტერნი; მცხარეთ ქიშპობდნენ პოეტების პავილიონში კათოლიკები და გუგენოტები, მაგრამ ისინი ვერ მორიგდნენ და შეჰკრიბეს სასულიერო კრება. ფრანცისკე მეორეს ეს არ უნახავს; ეკატერინა განაგებდა კარლ მეცხრის დროს.

ფონტენებლო შეიქმნა იმის უმთავრეს სასახლედ; გე-

---

მიბლიოტეკაში და ამ სახით ის ასეთი მდიდარი ბიბლიოტეკა შეიქნა, რომ მეორე აღარ არის იმ გვარი ქვეყანაზედ.

როგორც გიზი გამოცხადდა ფონტენებლოში ორი ათასის კაცით, რომ იქიდამ გაჰყოლოდა ჭაბუკს კარლ მეცხრეს პარიჟში. ეკატერინეს უნდოდა, რომ ამაზედ ეწინააღმდეგებინა, მაგრამ იძულებულიყო დაეთმო

ეკატერინეს მეკავშირეთ იყვნენ მაშინ კალვინისტები; იმან დასაჯა ისინი ბართლომ ეს ღამით, იმისთჳს, რომ იმათ ჩააგდეს ის გიზების ხელში.

ამ შურის ძიებამდისაც, ესე იგი **1564** წელსა, ის დღესასწაულობით დაბრუნდა ფონტენებლოში კარლ მეცხრითურთ და მისცა მაგალითი ახალის ასპარეზობისა და ნადიმობისა; შეჰკრიბა ხროვა მშუენიერთა ქალწულთა ფრეილინებთა; თჳთ სწერდა მათთჳს ბალეტებსა (წარმოსადგენს ტეატრში) და ისე დააბრმავა კალვინისტები, რომ მძინარენი მისცა მტერებს ხელში

ბოლოს გენრიხ მეოთხემ დაუბრუნა მშჳდობა საფრანგეთსა. დიანეს სასახლე გაეღო გაბრიელა დესტრისთჳს· აი ბარათი, რომელიც გენრიხმა მისწერა მშუენიერს გაბრიელას **1599** წელსა, და რომლისაც წაკითხვა ეხლაც შეიძლება პარიჟის საყოველთაო ბიბლიოტეკაში. «ჩუენ-
«ის მშუენიერის ფონტენებლოს უდაბნოდგან. საყუარელო
«ჩემო! დღეს საღამოს მოვიდა კურიელი; მე მაშინვე გა-
«მოვგზავნე ის შენთან, რადგან მე იმან მითხრა, რომ
«შენგან ჰქონია ნაბრძანები, რომ ხვალვე მოგიტანოს
«შენ ჩემი ამბავი. მე ღუთის მადლით მშჳდობითა ვარ;
«ვიწვი მხოლოდ შენის ნახვის სურვილით»

შენი გენრიხ

გაბრიელამ დიდ ხანს არ აცდევინა კოროლსა და მეორეს დღესვე გამოცხადდა ფონტენებლოში, მაგრამ იმისი იქ ყოფნა დიდხნისა არ იყო: ის მალე წავიდა პარიჟში საცხოვრებელათ ბანკირს (მდიდარია) ზამესთან, სადაც ის მალე გარდაიცვალა. გენრიხ მეოთხემ გამოიარა დიდი მწუხარებანიც და დიდნი სიხანულნიც ფონტენებლოში.

იქ კზ-ს სეკტემბერს **1601** წელსა მარიამ მედიჩსა ეყოლა მემკვიდრე საფრანგეთისა; გენრიხ იყო ამით ისე გმაყოფილი, ისე მხიარული, რომ სტიროდა სიხარულით, ჰკოცნიდა ჩჩვილსა, ლოცავდა და უდებდა პატარა ხელში თავის ხმალსა; შემდგომ უჩვენა ის იქ მყოფთა და მიუშვრა ბოლოს კოროლევას თავის მეუღლეს და უთხრა: «ლულოჯან? იხარე, ღმერთმა მოგვცა ის, რაც გვსურდა» და ბრძანა იმავ წამს პარაკლისის გარდახდა წმინდის სამების ეკკლესიაში.

უმახლობელესი და უპირველესი მეგობარი გენრიხისა იყო ჩინებული მინისტრი მისი სიულლი.

ერთხელ გრაფი ოვერონისა და იმისი მარკიზა ვერნელი ცდილობდენ დაელუპათ სიულლი. იმათ შეჰკრიბეს იმასზედა იმდენი ცილის წამებანი, რომ კოროლი შეირყა სიულლის ერთგულებაზედ. ესე ყოველივე იყო ფონტენებლოში. გენრიხის თვალებში სიულლიმ წაიკითხა თჳსი საშიშარი მდგომარეობა.

ერთს დილას სიულლი მივიდა კოროლთან იმ, დროს, როდესაც ის იცვამდა სანადირო ტანისამოსსა შორის თჳსთა კარის კაცთა კოროლმა დაუქნია თავი სიულლს

და უთხრა: გამარჯობა მონ შერ (ჩემო სასურველო) ეს სიტყუა კუალავ არაოდეს იმისთჳს არ უთქუამს. სიულლიმ შენიშნა ესე და დაუკრა მაინც მდაბლათ თავი და ისე მოსვენებით, ისე კეთილშობილურათ და ღირსებით, რომ კოროლი მზა იყო კისერზედ მოხვევოდა მაშინ გენრიხმა გაიხადა სანადირო წაღები, დააბრუნა მონადირენი, დაითხოვა კარის კაცნი და თჳთონ გავიდა ბაღში სასეირნოთ, რომელსაც გაჰყუა თან სიულლიც

როდესაც მინისტრმა წარუდგინა იმას საქმეები, კოროლმა უბძანა: თქუენ კარგათ იცით ყოველი ჩემი საქმე და ჰაზრიც, გააკეთეთ ეგ საქმეები, როგორც იცოდეთ და გიყვარდეთ უწინდებულად.

სიულლი გამობრუნდა, მაგრამ როგორც გაიარა ათი ნაბიჯი, გენრიხმა დააბრუნა უკანვე, გამოართვა ხელი და უთხრა: სხუა ხომ არაფერი გაქუს სათქმელი ჩემო რონი? (ლექსი მონშერი აქ კოროლს აღარა უხსენებია )

არა მაქუსრა თქუენო დიდებულებავ, მიუგო მინისტრმა მაშ მე მაქუს თქუენთან სალაპარაკო, უთხრა კოროლმა, და ვეღარ მომთმენმან, დაუწყო იმას კოცნა, ვითარცა ჭეშმარიტს მეგობარს და დაათვიცა რა ის, რომ იმას ისევ უყუარს კოროლი უწინდებულათ, მოუყვა ყოველსავე. რაც იმაზედ გაეგონა, დაუმალავათ იმ კაცების სახელების, ვინც იმას შესწამა სხუა და სხუა ცილი ეს იყო შეკრება ცილის წამებათა თჳთ უსაძაგლესთა და ტყუილთა, ერთი მეორეზე უარესთა ეს ყოველივე სიულლიმ მოისმინა განსვენებით. მაშინ კოროლმა ჰკითხა რას ფიქრობ ამაზედ რონი

მე ვფიქრობ, თქჳენო დიდებულებავ, რომ როგორც მე, ისე თქჳენ არა გჯერათ ეგ უგუნური ცილის წამებანი. თქჳენ კარგათ იცით ჴელმწიფევ, რომ ჩემი სიმდიდრეც, შრომაც და სიცოცხლეც გეკუთვნიან თქჳენ. და ამ დროს უნდოდა დაცემულიყო იმის ფეხის წინ მაგრამ კოროლმა დაიჭირა ხელით და უთხრა შემდგომნი ჭეშმარიტად მაღალნი და ღირს შესანიშნავნი სიტყჳანი:

«ფრთხილათ იყავით რონი; თქჳენი მტრები უფრს გიგდებენ თქჳენ, და იმათ ეგონებათ, რომ თქჳენ ჩემგან მოტევებას ითხოვთ»

იმავ დროს მიიკრა ის გულში და მხიარული მიიყვანა იმის მტრებთან

რომელი საათია უფალნო? ჰკითხა იმათ კოროლმა. ერთი საათი შესრულდა შუადღის შემდგომ ხელმწიფევ. მიუგეს იმათ; თქჳენ ინებეთ ძრიელ დიდხანს ლაპარაკი დიაღ, მართალია ეგა, მიუგო კოროლმა; იქნება აქ ზოგიერთს ეს დრო ეჩვენა უფრო მოსაწყენათ ვინემ მე. და ნუგეშად მათდა ვეტყვი იმათ, რომ მიყჳარს რონი უმეტეს მისა, ვინემ აქამომდე. და ჩჳენ ორნი დავრჩებით მეგობრებათ მთელს ჩჳენს სიცოცხლეში, საფლავამდის!

გენრიხ მეოთხემ უბძანა მონათვლა სამის თჳს შვილისა ერთს დღეს ფონტენებლოში ესე იგი, **14** სეკტემბერს **1606** წელსა, და იდღესასწაულა ის დღე დიდის ნადიმებით, სადაც ყოველი კაცი ხარობდა და შეექცეოდა იქ გამოცხადდა გერცოგი ეპერნონი ხრმლით, რომელიც

იყო მოჭედილი ათას რვასის ბრილიანტით; ხოლო ბასონპიერი ფარჩის კაბითა, რომელსაც ჰქონდა შემოკერებული ოცი გირვანქა მარგალიტი. იმავე ფონტენბლოში იგივე გენრიხი ადგენდა პლანებსა ევროპის გაყოფაზედ თხუთმეტ თანასწორ ნაწილთ, ასე რომ ომიანობა როგორც შინაგანი ისე გარეგანი შეუძლებელი ყოფილიყო

ამ პროექტზედ (დაწყობილებაზედ) დაითანხმა კიდეც რომი, ვენეცია, სავოია, ანგლია, დანია. შვეიცია, ვენგრიის. და ბოგემიის პროტექტორები, ავსტრია და გოლანდია; მხოლოდ ისპანია და რუდოლფი არ იყვნენ ამაზედ თანახმანი. და მიიყვანეს ფრანციის კოროლი იქამდის, რომ ის, მოემზადა საომრად, რომლის შემდგომაც, მისის ჯაზრით, უნდა ჩამოკარდნილიყო საზოგადო მშჳდობა. მხოლოდ უცეფა გარდაცვალებამ გენრიხისამ შეაყენა აღსრულება იმ დიდის დაწყობილების.

პ. დიდებულიძე.

(დასასრული შემდგომ ნომერში იქნება)

* *
*

## თ. ალ. ჭავჭავაძის ლექსებითგან.

შენის გონების სხივნი ესრედ ბრწყინვენ ძლიერად,
შვენებაც გინა არა ჰქონდეს მათი მნათობებ!
შვენება შენი ესრედ მძლეველობს ამ ქუეყნიერად
რომელ გონების უმწეოდაც ნამდჳლ იმფლობდებ.
მაგრამ რას ხელ ჰყრი მარქჳ მაგა ნიჭთა კეთილთა,
თუ გული შენი სიყუარულსა არ მიიკარებს?
მგრძნობელობა ჰსჯობს ყოველთ თჳსებათ, ცით მოვლე-
ნილთა.
შუენებასაცა და გონებასაცა ის ასულ მდმარებს!—

---

გული წამართვი ცნობითურთ მითხარ ნაცვალი მომერა?
ველარ გავჰსძელი უშენოდ—გაყრისა სევდა მომერა;
დამწვი და წყალი არ მომეც—დამწვარსა გულსა მომერა:
უვარდოდ წალკოტისათჳს თვალნი რასათჳს მომერა?—

---

## გულისადმი.

საბრალო გულო დაწყლულებულო, ვგრძნობ შენსა
ტანჯვას, მალ-მალე ცემასა:
მაგრამ ვერ მივხვდი, რა შეგემთხვევის და მალე მივხვდე
ვცდილობ მე მასა,
ან როგორ მივხვდე? ჩემსა კითხვაზე: «რა შეგემთხოთქო»
მოგების ნაცვლად არა მცემ ხმასა;
ან იცის ეგებ საიდუმლოა და გაგამჟღავნოს შიშობ ამასა.
დამშკდდი, ნუ სძგერ, ნურცა იმიშვი, რაც გჭირს
ჩემთანა, სთქჳ აღიარე!
მითხარ მართალი ნურას მჩმახამე, ვიყო შენს მოძღვრად
მით აღმიარე!
და ოხჳრა ტანჯჳა თუ რასმეს გარგებს, მეკუთვნის მეც
ეგ, გამიზიარე;
გინდ მე მივიღებ მაგათ ყველასა და შენ უდარდოდ შენ-
თჳს იარე.

## გ უ ლ ი.

რადგანა მკითხე მართალსა გეტყვი, რისგამო ვსწუხვარ
და ვარ შეპყრული:
დღემდის ჩემს ფირსა, არ ჰქონდა კიდე და სიყრმითაცა
იყო უფსკრული;
მაგრამ ვერ მივწვდი მისაზომელად, რისათჳს მქონდა
ფიქრი აღძრული,
დღესკი აღსრულდა ჩემი წადილი; შევკრიბე ცნობა ნამ-
დჳლი სრული:

რომელ შენს ბედსა სულ შეუცვლიხარ, და უგზო უკვა-
ლოდ შენა გმსახურებს
მხიარულების ნაცვლად ჩემშიდა, ფიქრსა და სევდას ჰკრებს
ასადგურებს,
სულ უკან მიჰყავს შენი ცხოვრება, ის დაცინების თვა-
ლით დაგყურებს
ამის მიმხედვი ვოხრავ, და ვსწუხვარ, და სიკუდილსაცა
ესე მაწუხებს!

სჳმონ მაჭუტაძე.

---

## უძღვნი სასულიეროთა.

დავეცით ყოვლით ივერნი მთლათა,
მიკჳრს, რათ გვძინამს ასრე ხან-გრძლათა
და უქმობა გვიჩანს თითქმის ღვაწლათა
ჩუჱნი ვიძიოთ მდგომარეობა,
დრო არის ვსდევნოთ მცონარეობა
და ყველამ ვსწიოთ მღჳძარეობა
სჯული მამათა ვიპყრათ კეთილათ,
მისის დაცვისთჳს ვიყოთ ჩუჱნ ფრთხილათ,
და ნუ უყურებთ მასა გულ-გრილათ.
სარწმუნოებისთჳს თავი გავსწიროთ,
სიცოცხლე ჩუჱნი სულ მას შევსწიროთ,
რომ გულს მოდგინეთ, ღირსებით ვსწიროთ.
თავის დაზოგვა აღარ ეგების,

ვასრულოთ ვალი, ვის რაც გვერგების,
ვარგოთ რამ მამულს და სჯულს ეგების—
მამულსა ჩჳენსა ყოველ გზით ბრალსა,
სჯულსა უწყალოდ, მტრისგან შემძრალსა,
ვაამოთ ღმერთსა. ცოდვისთჳს მწყრალსა.

**1864** წელსა, მაისის **19**-სა დღესა.

სემინარიის მეექვსე-კლასის მოწაფე, დავით ოდიშელიძე.

## ლაზიკა (კოლხიდა) და დიდი ბრძოლა იუსტინიანესა და ყეენის, ქასრეს, შორის.

(განგრძელება)

მეხუთე საუკუნეში, აღრეულების გამო საბერძნეთის იმპერიაში, დაშორდნენ ლაზები რომაელებს ჩუენ ვნახეთ ზემოთ, როგორც გობაძეს უნდოდა ყოფა სპარსეთის მორჩილებას ქჳეშ, და მხოლოდ იმპერატორის მარციანეს ძალამ დაიჭირა რომის მონებაში **456** (ოთხას ორმოც და თექვსმეტში), მაგრამ გობაძის მემკჳდრების დროს სხუა ფრივ იყო.

სპარსეთის სასანელნი (მეფეები) იყვნენ დაუძინებელი მტრები აღმოსავლეთის (საბერძნეთის) იმპერიისა და ყოველთა ქრისტიანებთა. აღვიარება ქრისტეს სარწმუნოებისა რომის იმპერატორებთაგან იყო მიზეზი სპარსეთის მეფეთათჳს ამ ახალის სარწმუნოების სიძულვილისა, ყოველი ქრისტიანი მიაჩნდათ მათ თავიანთ მტრად და

რომაელების მოუჴრად. სპარსნი ყოველთჳს მტკიცედ მდგომარენი ზოროასტრის სარწმუნოებაზე, ხან და ხან, თუმცა-კი შეითჳსებდნენ ქრისტიანებსა, მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ იქმოდნენ, როდესაც ესენი იყვნენ დევნილენი კონსტანტინეპოლითგან რაიმე სეკტისათჳს და იფლტოდენ სპარსეთში თავის შესანახავად. საზოგადოდ აღმოფხვრა ქრისტიანობისა და გამრავლება ცეცხლის თაყვანის მცემლებისა იყო პოლიტიკური მიზეზი, რომელსაცა ეს ხელმწიფეები უნცრო თუ უფრო მაგრად ეკიდემოდნენ. 287 (ორას ოთხმოცდა შჳდის) წლითგან სომეხნი იყვნენ ქრისტიანები. რა საშუალობა არ მოიხმარეს სპარსებმა იმათი მოსაქცევად თავიანთ სარწმუნოებაზე! რა ნაირად დევნიდნენ იმათ! რა ნაირად მოსწყვიტეს ისინი! რამდენი სისაძაგლე მოიხმარეს იმათზედ! ვერ გამოითქმის კაცის ენით! ივერიაც (საქართველო) იყო მონათლული 318 (სამას თვრამეტის) წლითგან. და თუ ის ვანესა ესე ვითარს საშინელს ტანჯვასა სპარსთაგან, ამის მიზეზად უნდა შევრაცხოთ იმისი მაგარი ადგილები; მაგრამ პოლიტიკა სპარსეთის ერთი და ისივე იყო: მოქცევა იმათიცა ცეცხლის თაყვანისცემაზე. ამისათჳს ვერა ვითარი საშუალობა ვერ ჰპოვეს იმათ დაშორების მეტი სომხეთისა და საქართველოსა რომის იმპერისაგან და თავისკენ მიმხრობა იმათი.

ლაზიკასაც მიადგა განსაცდელი სპარსთაგან იმპერატორის ანასტასეს დროს, ქ. ი. 491—518 (ოთხას ოთმოც და პირველითგან ხუთას თვრამეტამდინ) ყეენმა ქობადმა, მოახერხა გარდაბირება ლაზებისა: იმ ნაირად

მოახდინა, რომ ახალი ლაზიკას მეფე უნდა წასულიყო და მიეღო გვირგვინი თჳთ ჴენისაგან ანასტასიუმ შერაცხა უმჯობესად დადუმება ამ საქმეზე და მე მისი, იუსტინეც, შეუდგა იმის მაგალითს. ქობადმა დაადგა გვირგვინი წესისამებრ იმათისა, დამნაძეს, რომელიცა იყო, როგორც ვგონებთ, გობაძის, შვილის-შვილი.

როდესაც დამნაძე მოკჳდა, მის მემკვიდრეს სურდა აღიარება იმავე სარწმუნოებისა, რომელსა აღიარებდენ იმისნი ქუეშევრდომნი ამისათჳს, სპარსეთში წასვლის ნაცვლად, წავიდა კონსტანტინეპოლში 522 (ხუთას ოცდა ორში) წელში მოსანათლავად და გჳრგჳნის მისაღებად იმპერატორის იუსტინესაგან ამ იმპერატორმა აღუსრულა სურვილი იმას: დაასაჩუქრა დიდითა ნიჭითა და შერთო ცოლად ვალერია, ასული პატრიციის ნომუსისა.

განრისხებული ქობადი ჰჩივოდა, რომ იუსტინემ გადაიბირა ჩემი ქუეშევრდომნიო; და ამბობდა, თუმცა ცხადი ტყუილი იყო, ძველითგან ლაზიკა ეკუთვნოდა სპარსეთსაო. ამაზედ, უეჭუელია, ჩხუბი ატყდებოდა, რომ იუსტინეს არ გაემჟღავნებინა ქობადისათჳს იმისი ღალატი ჰუნებთაგან, რომელნიცა ჯამაგირით მსახურებდნენ სპარსებსაც და რომაელებსაც. თუმცა ჴენი დადუმდა რაოდენსამე ხანს ამ გარემოების გამო, მაგრამ უფრო იმისათჳს, რომ მერმისათჳს უმეტესითა ძალითა შედგომოდა საქმესა.

ამ ჴენმა ჰსთხოვა იუსტინეს, რომ ეშჳლა იმას ძე მისი, ქასრე, მაგრამ იუსტინემ ამაზედ უარ ჰყო: ეს გარემოება შეიქნა ჩხუბის მიზეზი იმათ შორის. ქობადმა

დაპირა **523** (ხუთას ოცდა სამს) წელში ლაზიკაში წა-
სვლა და იქიდან განდევნა ახალისა მეფისა, რომელი გა-
ნუდგა იმას, მაგრამ ამოუჩნდა დიდი დამაბრკოლებელი
მიზეზი. იმას უნდა გაევლო საქართჳელოზე, რომელიცა
მდებარებდა სპარსეთსა და ლაზიკას შორის, და ეს ქჳე-
ყანა. ვახტანგ გორგასლანის დროიდგან, მტკიცედ იდგა
ქრისტიანობაზე; მაშასადამე ქართველები არ იყვნენ დი-
დნი მოყჳარენი სპარსებისა, ქობუდმა, რომელი იყო
სასტიკი და შეუწყნარებელი სხჳა სარწმუნოებისა, გაუგ-
ზავნა ბრძანება საქართჳელოს მეფეს, გურგენს, რომ
მიეღო სარწმუნოება სპარსებისა; უმეტეს ყოვლისა აღუ-
კრძალავდა იმას მკჳდრების დამარხჳასა, არამედ უბრძა-
ნებდა იმას მიცემას ძაღლთა და ფრინველთადმი შესაჭ-
მელად, რათა არა წაიმწიკვლოს მათგან ერთი სტიხიონ-
თაგანი, ე. ი. მიწაო. გურგენმა გულითადმა ქრისტია-
ნმა, ჰსთხოვა შემწეობა იუსტინეს; რომელმა გამოუგ-
ზავნა ღენერალი პეტრე და შემწე ჯარი ჰუნთაგან. ესე
ვითარი შემწეობა ფრიად მცირე იყო საწინააღმდეგოდ
სპარსებისა, რომელთა ჰყავდათ მხედართ-უხუცესად ბოა.
გურგენ დამარცხდა სპარსებისაგან. მაშინ ამ მეფემ დას-
ტოვა საქართჳელო და გარდავიდა კოლხიდაში თავის
ცოლშჳლით და წარჩინებულის პირებითა, შემდეგ ამისა
ადვილად დაიპყრეს სპარსებმა საქართჳელო და არა ვი-
თარი ზღუდე აღარ გაყოფდა იმათ ლაზიკისაგან

ორს ციხეს, შორაპანს და სკანდას, რომელნიც იდგ-
ნენ საქართჳელოთგან ლაზიკაში შესავალს გზებზე, შე-
ეძლოთ დახშობა ამ გზებისა, მაგრამ ლაზებმა არ იდ-

ვეს თავს გამაგრება ამ ციხეებისა და დაანებეს რომაელებსა, ღენერალი ირენე ჩადგა იმათში თჳსის ჯარითა მაგრამ რომაელები მალე დაუძლურდნენ საზრდოს ნაკულოვანებითა, რომელსა აძლევდნენ იმათ ლაზები ამ ხალხს არ მოჰყავდა არა ვითარი ჭინახული, როგორც დღესაც, (*) ღომის მეტი. მაშასადამე არა გააჩნდათრა იმათ მისაცემად თჳნიერ ამისა თუმცა პური და ღჳნო შემოიტანებოდა კონსტანტინოპოლიდგან, მაგრამ ცუდის გზის გამო ლაზებმა ვეღარ შესძლეს მიზიდვა იმათი ზემოხსენებულს ციხეებში, რაზედაც ითხოვდნენ ბოდიშსა ამისათჳს რომაელებმა დაცალეს ეს ციხეები. მაშინ დაიპყრეს ისინი სპარსებმა.

ამასობაში მოკუჳდა იუსტინე **527** (ხუთას ოცდა შჳდში) წელს იმისმა ძმისწულმა, იუსტინიანემ, როგორც რომ გამეფდა, მოაშველა ლაზიკის მეფეს სამი ღენერალი, რომელთა შორის იყო ბელიზარიც.

ამათ, ნაცვლად თავიანთის ვალდებულების აღსრულებისა, უწყეს ჯიბრობა ერთმანერთსა და უთანხმოებისა გამო მათისა დამარცხდნენ სპარსთაგან, რაისათჳსაც იმპერატორმა იუსტინიანემ უკანვე დააბრუნა ისინი. მაშინ პეტრე ნოტერმა მიიღო სარდლობა ჯარისა და შემწეობითა ლაზიკის მეფისა, გაიმარჯუა სპარსებზედ. შემდგომად ამისა, **532** (ხუთას ოცდა თორმეტს) წელში, მოხდა რიგება. სპარსებმა დაუტოვეს რომაელებს შოროპანი, სკანდა და სხჳა ციხეებიცა.

---

(*) ახლა პური და სიმინდიც ბევრი მოჰყავთ მთმრგ.

ამ დრომდის არ უგრძვნიათ ლაზებს სიმძიმე რომის მფლობელობისა; ამისი მიზეზი ზემო მოვიხსენე ლაზების ალებ მიცემობის საგნები იყვნენ ტყავები და ტყავები, რომელთა ჰსცვლიდნენ მარილსა და სხჳა უპირველესს საჭირო საგნებზე

მდგომარეობა ლაზიკისა გამოიცვალა, რა რომ გახდა ის ომის სათეატრო ასპარეზათ სპარსებისა და რომაელებისა შორის. რომაელებს. რომელნი იყვნენ წარმოგზავნილნი ლაზიკის მეფესთან მისახმარებლად, მართებდათ ზრდილი ქცევა, როგორც მეგობრისთ შემწეთა, მაგრამ, ნაცვლად ამისა, იწყეს იმათ ბატონობა ამ ქჳეყანაში. იმათი მთავარმართებელი, პეტრე ნოტერი, იყო დიდად ბილწი და საძაგელი კაცი ნაცვლად მშჳდობიანობისა და მართლმსაჯულებისა, ისე ეპყრობოდა ლაზებს განკიცხვით და ურცხვად. როგორც მოგვითხრობს ისტორიკოსი აროკოპი, არ ნახულა ჯერ კაცი მისებრ ხარბი და უზრდელი. შემდეგ იმისა. არც იმისი მოადგილენი ყოფილან ბევრით მასზე უკეთესი ეს მართებლები, რომელნიცა მოივლინებოდნენ ამ განშორებულს ქჳეყანაში რომის იმპერიისაგან, უყურებდენ იმას, ვითარცა ბედნიერს შემთხვევას იმათ გასამდიდრებლად უპასუხოდ!

იოვანემ ციმისხიმ დააბოლოვა უკმაყოფილება ლაზებისა ის იყო მდაბალი შთამომავლობისა და ამ მაღალს ადგილზე. რომელზედაც ავიდა ის, მოიპოვა სახელი უსაძაგელესისა კაცისა

იმის რჩევით იუსტინიანემ ააშენებინა ციხე, რომელსა უწოდეს პეტრა ეს ციხე იყო იმ მხარეზე, რომელსა

ახლა ჰქჳა გურია, მაღალს კლდიან ადგილზე, სკურდებსა და ნატანებს შორის, სადაც დღესაც ჰსჩანს ნაცხოვანები რომელს მცხოვრემნი უწოდებენ უჯენარს. აქ გაიკეთა ბუდე იოვანე ციმისხიმ და რცვიდა სატოდავ ლაზებს იმის მეტს არავის არ ჰქონდა ნება რომ შემოეტანა ლაზიკაში ან მარილი და ან სხჳა რამე სავაჭროები იმან გამართა იქ მდინარის ნაპირზე სავაჭრო ბაზარი, რომლისა გამგე თჳთან იყო ყიდულობდა ლაზებისაგან ყოველ საქონელსა და იმათზედვე ჰყიდდა იმავე საქონელსა ერთი ორად თუ ერთი სამად.

ლაზებმა მიაწიეს უკანასკნელს მდგომარეობაში, იმ დროს იმათ ჰყავდათ მეფედ გობაზე, (თუ გუბაზე)? უმჯობესად შერაცხეს ლაზებმა კვალად მორჩილება სპარსეთისა, ამისათჳს **539** (ხუთას ოცდა ცხრამეტს) წელში, გაუგზავნეს მოციქულები ყენს ქასრე ნუშიროვანს რომელი გამეფდა სპარსეთში **531** (ხუთას ოცდა თერთმეტს) წელში შემდგომ მამისა, მისის ქობადის, და დააბარეს იმათ, რომ დაადებინოს პირობა ამ ხელმწიფესა რამეთუ აღარ შთანაგდოს რომაელების ხელში ლაზები, თუ ამაზედ არ იქნეს. ამათი საკუთარი ნება.

ქასრემ მიიღო ისინი ფრიად კარგად ამათ განუცხადეს იმას თჳსი მორჩილება და მოახსენეს ყოველივე საჩივარი რომაელებზე; ამასთანავე უთხრეს, რომ ჩუენი მეფე გახდა ერთი უბრალო ყმა რომის ღენერლისაო და ქუეყანა რომაელების ბანაკათაო; მისახდელად ჩუენის ქონებისა, იხმარებენ ისინი საძაგელს საშუალობასა, ე. ი. ძალით ასაღებენ ჩუენზედ ძჳრფასად ჩუენსავე სასმელ სა-

ჭმელსა, რომელიც ჩემგან მიუღიათ თითქმის მუქთადო, და სხ. ქასრემ მოისმინა რა ყოველი სიტყუა იმათგან, გამოკითხა იმათ გარემოება და მდებარება იმათის ქუეყნისა.

ქასრემ მაშინ ნახა რომ, თუ ლაზიკა იქნებოდა იმის ხელში, ერთი ბიჯის მეტი აღარ დარჩებოდა კონსტანტინეპოლამდინ ზღჳთა; რომ კლიტე მთელის კავკასიისა იმას ეჭირებოდა, რომლითა, სურვილისამებრ თჳსისა, კიდევაც დაკეტდა კავკასიის გარდმოსავალს გზებსა და კიდევაც გააღებდა იმათ, როდესაც საჭიროდ შერაცხდა, გარდმოიყვანდა იქიდან ბარბაროსებს და შეუსევდა რომის სამფლობელოს. ქასრემ დააპირა წამოსვლა ლაზიკაში, მაგრამ იმას უნდოდა შესჳლა ამ ქუეყანაში იდუმალ და არა გამოცხადებით; ეს აზრი გაანდო ლაზიკის მოციქულებს და აღუკრძალა იმათ გამჟღავნება იმისი. მერმე შეკრიბა დიდი ჯარი და წამოვიდა საქართუელოსკენ ვითამ იმ აზრით რომ უნდოდა ჰუნების ყარაულობა. მაგრა როცა მიადგნენ ლაზიკის საზღვრებს, და ნახეს იმისი საძნელო გზები, დიდად შეშინდნენ ყჳრილას ხეობაში არ გაევლებოდა კაცსა. მაგრამ რადგან იმათ ახლდათ ლაზები, რომელნი იყვნენ ადგილის კაცები, ამათ ამოუჩინეს ღონისძიება გასავლელად ამ საშინელს გზებზე. სპარსებმა უწყეს კვეთა მსხვილ ხეებსა, რომლითა იყო მოცული მთელი ყჳრილას ხეობა და ამოავსეს ამითა ღრმა ხრამები და მთების ნაპრალები, ამ სახით სპარსეთის ჯარი ჩავიდა ვახანით (სოფელი) ლაზიკაში.

რა რომ შევიდა ქასრე ლაზიკაში, **541** (ხუთას

ორმოცდა პირველში), მაშინვე მიეგება იმას გობაძე თჳსის სახლობით, თავი დაუკრა და განუცხადა სრული მორჩილება.

ჰსცნა რა ქასრემ იოვანე ციმისხის ყოფა პეტრას ციხეში ყოვლის ჯარითურთ, დაუყოვნებლად გაგზავნა ერთი ნაწილი ჯარისა, რომელსა უჩინა სარდლათ აბენიამიდ, და უბრძანა ამ ღენერალს აღება იმ ქალაქისა, თუ შესაძლებელი იყო, ერთის ასმით.

იოვანემ ჰსცნა რა მოახლოვება მტრისა, ვერაგობა იხმარა: სასტიკად აღუკრძალავთ, რომ არავინ გამოჩნდეთ ციხის გალავანზედაო! და საუკეთესო ჯარი დამალა ციხის კარებს უკან. რადგან არავინ ჩანდა ციხეში, დაც[...]ლი ეგონათ ის სპარსებსა; ამისათჳს იმ წამსვე აცნ[...]ეს გარემოება ყენსა, რომელი მსწრაფლად მოიჭრა [...]ვის ჯარითა. ერთს დღეს კორმუსს უბძანა ცი[...] ასვლა და თჳთან ავიდა ერთს მახლობელს მაღალს ა[...]ლზე, და დასცქეროდა იქიდგან ამ მოქმედებას. სპარს[...] მივიდნენ ციხეზე. კიბეებიც მიიდგეს კედლებზედ და ას[...]ლას რომ აპირებდნენ, იმ დროს დააღეს კარები რომაელებმა და დაესხნენ იმათ თავს ლეშტერივით და მოსწყვიდეს მრავალნი მაშინისტები. ქასრე ყეენი ასე განრისხდა რომ ტყავი გააძრობინა ცოცხლად აბენიამინსა, თუ როგორც მოსტყუვდა იმ მედუქნე იოვანესაგანაო!

მეორეს დღეს დააპირა ქასრემ ციხის აღება ერიშით, მაგრამ აქაც გაწბილდა თუმცა იოვანე ციმისხიც მოკუდა, რომელი დაიჭრა კისერში მაშასადამე ყეენს უნდა მოპოვნა სხუა ღონისძიება

ქალაქი პეტრა იყო შეუვალი ყოვლის მხრით, თ,ნიერ
აღმოსავლეთისა, რომლით ჰქონდა ვაკე. გარდა ამისა
ყოვლის მხრით ჰქონდა მორტყმული ფრიალო კლდეები
დასაცავად ამ სუსტის მხრისა, რომაელებმა გაუკეთეს
ქალაქს ქვითკირის ზღუდე, რომელსაც, სიმაგრისათჳს,
მიუშენეს ორი დიდი ბურჯი. ქასრემ გამოათხრევინა ძი-
რი ერთს იმათგანს. ჯერ იმას შეუყენეს ხის სვეტები
და მერმე მოუკიდეს ცეცხლი, რომლისაგამო ეს ბურჯი
ჩამოიქცა რომაელებმა ძლივ გაასწრეს იმათი ქალაქი
იყო გადებული მტერთათჳს, მაშასადამე უნდა მიეცათ
ის ქასრემ მისცათ პირობა რომაელებს დაუხოცლობისა
და კიდეკაც აღუსრულათ, მხოლოდ საცხოვრებელი იოს-
ვანე ციმისხის მიითჳსა იმან, თუმცა რიგი იყო, რომ
ლაზებს დაბრუნებოდა ის, რადგან მათგან ჰქონდა იოს-
ვანეს შემენილი ის

ქასრემ, შემდეგ ამისა, გაგზავნა ერთი კორპუსი აფ-
ხაზეთში დიოსკურიის ასაღებად, რომელსა იმ დროს
…ოდებდნენ სებასტოპოლად. და წებელდისა რომაელე-
ში … …ადნეს რა სისუსტე თავისი, მოუკიდეს ცეცხლი ყო-
ბმა, ჰ… … თჳთ წავიდნენ ზღჳთა. ამ სახით არცა ერთი
ველიეს და … დარჩენილა ლაზიკაში
რომაელი აღარ …

545 (ხუთას ორ… …მოცდა ხუთში) მოხდა რიგება რო-
მაელებსა და სპარსებს ი… …ა, რომლითა ქასრე შეიქნა სრუ-
ლი მფლობელი ლაზიკისა. … …მინ ჰფიქრობდა ის, თუ
ვითარ განემტკიცებინა უფლობა ი… …ჳსი ამ ქვეყანაზე თუ-
მცა იმას მიეცა ფიცი ლაზებისათჳს რომ ეზრუნვა იმათ
სასარგებლოდ, მაგრამ დაივიწყა ეს პირო…ა და აზრობ…

და მხოლოდ, თუ როგორ გარდაესახლებინათ ლაზები თავიანთის სამშობლო ქუეყანითგან და იმათ ნაცვლად დაესახლებინა სპარსები, რომელთა ერთგულებასა და სარწმუნობაზე უფრო იქნებოდა დანდობილი იმას აქეთ რაც გურგენის (საქართუელოს მეფე) ამბოხდა და ივლ-ტო, ქართუელებზე აღარ ჰქონდა ქასრეს რწმუნება. იმან დაუყენა ქართუელებს ერისთავები, რომელნიცა სასტიკისა ქცევითა შეაძაგებდნენ იმათ დიდად სპარსებსა. გარდმოსახლება სპარსებისა მოახდენდა დიდს ცვლილებას ლაზიკაში, .. მაგრამ უძნელესი ყველაზე იყო დაშორება ლაზებთაგან იმათის მეფისა

ყეენმა აჩვენათ სახე, ვითამ უნდოდა ზღჳთ ლაშქრობა. ამისათჳს გამოგზავნა ლაზიკაში ორი სანდო კაცი. მოსამზადებელად გემების მასალებისა. მაგრამ ნამდვილადკი უნდოდა მოეპოვებია რამე საშუალობა და როგორც იქნებოდა მოეშორებია თავიდან გუბაზე, რომელიც უჩნდა იმას იმისის აზრების აღსრულების დამაბრკოლებლად. ამ დროს იყო ლაზიკაში ერთი თავადი, ბარსანე, რომელსა გაერისხებია გუბაზე ისე, რომ არ შეეძლო იმას თვალში დანახებოდა. ამ თავადს ეზრახა ყეენისგან დანიშნულმა კაცებმა თუ რა სახით შეიპყრან იმათ გუბაზე. ამათ დაასკუნეს პირობა, რომ ეს გამოგზავნილნი პირონი უნდა დაბინავებულიყვნენ პეტრას ქალაქში და როგორც იქნებოდა, მიეტყუებინათ იქ მეფე, სადაც ადვილად იმას შეიპყრობდენ. მაგრამ თავადმა ბარსანემ მოიხმარა ერთგულობა გუბაზესთან და ამხილა იმას სპარსების განზრახვა მაშასადამე ქასრესაგან დანიშნული კაცები და-

ბრუნდნენ გაწბილებულნი და ხელცარიელები

გუბაძემ, რომლის მხნეობა განაღჳძა ამ საძაგელმა ღალატმა, მაშინვე გაუგზავნა მოციქულები იმპერატორს იუსტინიანეს განსაცხადებლად მისდამი თჳსის საბრალოს მდგომარეობისა და სინანულისა, რომელსა გრძნობდა ის განდგომისაგამო იმპერატორისაგან და ევედრა, რომ მოეცა რამე შემწეობა სპარსებზედ. იმპერატორმა იუსტინიანემა მაშინვე გამოუგზავნა გობაძეს **7 000** (შჳდი ათასი) რომაელი და **1,000** (ათასი) ჰუნი, რომელთა უჩინა სარდლად დაგისტე ეს როგორც რომ მოვიდა, მაშინვე შემოადგა ციხეს პეტრას გობაძის შემწეობითა.

ქასრე დიდად შეაწუხა ამ ნაირმა ცვლილებამ და იმანაც გამოგზავნა ლაზიკაში დიდი ჯარი მართებლობასა ქუეშე მერმეროისა. გუბაძემ, ჰსცნა რა სპარსების მოახლოვება, იმ წამსვე აჩუენა დაგისტეს საშუალობა თუ ვითარ შესაძლებელ იყო იმათთჳს გზების შეკვრა.

სპარსებს ორი გზის მეტი არ ჰქონდათ ლაზიკაში შემოსასვლელი: ერთი ხანის წყლის ხევი; მეორე ჩხერმელასი, რომლითა შემოვიდა ქასრე ლაზიკაში **541** (ხუთას ორმოცდა პირველს) წელში. თუ პირველს გზას ამოირჩევდნენ სპარსები უნდა გარდმოევლოთ სომხეთი და თუ მეორეს საქართველო.

გუბაძემ მიანდო დაგისტეს გამაგრება ხანის-წყლის ხევისა და თჳთან უნდა შეეკრა ჩხერმელას ხევი ლაზებისა, ოსებისა და საბირების შემწეობითა.

ლაზებმა დააქციეს მაშინ ყველა სიმაგრეები, რომელშიაც სპარსებს შეეძლოთ შესვლა და გამაგრება. ასე შე-

მუსრეს იმათ: ქუთაისის, ვარციხის, შორაპნის და სკანდის ციხეები.

დაგისტე იყო ყმაწვილი და გამოუცდელი კაცი, ამისათჳს არ შეუდგა ის ბეჯითად გუბაზის რჩევას. იმან გაგზავნა დანიშნულს ადგილზედ მხოლოდ **100** (ასი) კაცი და თჳთან არ მოცილდა პეტრას ციხეს, რომლისა აღება მოინდომა რაც უნდა დამართოდა, რომლითა იმედობდა დიდის სახელის მოპოვებას.

გარნიზონი, შემდგარი **1500** (ათას ხუთასის) კაცისაგან, მხნედ გაუმაგრდა ციხეში. რომაელებმა გამოუთხარეს საფუძველი ერთს გალავნის ნაწილს, რომელიც კიდევაც ჩამოიქცა სპარსების ზედათ, იმას უკან იდგა ერთი შენობა, რომელშიაც შესცვივდნენ ისინი და უფრო დაქცეულის გალავნის მაგიერობა

დაგისტე უცქერდა ამ პატარა წარმატებას რაღაც ფარსაგათ და რაცხდა იმას დიდის წარმატების მოსვენებად. საჩქაროდ მისწერა კონსტანტინოპოლში, რომ პეტრას მალე ავიღებო, და კიდევაც დანიშნა წინასწარ თუ ვითარის ჯილდოს ღირსი შეიქნებოდა. მერე განაგრძო მინა და შეუშვენა სვეტებიც გალავანს; მხოლოდ ელოდა პასუხს კონსტანტინოპოლითგან რომ მოეკიდებინებინა ცეცხლი და დაემხო ის. მაგრამ პასუხი იქიდანკი არ მოდიოდა დაგისტე. იმისი მოლოდინე, იყო გაჩერებული გულ-ხელ დაკრეფილი. კედელი, რომელსაც გამოუთხარეს საფუძველი ერთბაშად ჩამოიქცა მაშინ **50** (ორმოცდა ათი) სალდათი შევიდა ციხეში და კიდევაც მიულოცა გამარჯვება იმპერატორს იუსტინიანეს... დაგისტეკი ადგილი-

აგანაც არ დაძრულა იმათ მისაშველებლად. მაშასადამე ვინც რომ შევიდა ციხეში იძულებით დაბრუნდნენ უკანვე თავიანთს ბანაკში. . მაგრამ ამ საქმემ უფრო აიმედა დაგისტე, რომელი ჰგონებდა ციხის აღებას, როცა მო-ინდომებდა. . ამ დროს ციხის კომენდათი გამოვიდა დაღისტესთან და პირდებოდა იმას ციხის ჩაბარებას, მაშასადამე ერიშით მიხჳდა მასზედ აღარ დაჭირდებოდა იმას მაგრამ ამ ღენერალმა არც ამას ათხოვა ყური. არ იქნებოდა დასაჯერებელი ამისთანა სიბრიყვე სარდლისა-გან, რომ ისტორიკოსი, პროკოპი, არ მოგვითხრობდეს დაწვლილებით ამ შემთხვევას.

ამასობაში მერმეროე, **549** (ხუთას ორმოცდა ცხ-რაში), ჩამოვიდა ხანის წყლის ხევში, სადაც **100** (ასი) რომელი, გაგზავნილი დაღისტესაგან, იდგა დასაცავად ამ გზისა, და რომელიც მამაცურად დახჳდა სპარსებს ამ ასმა კაცმა მოჰკლა ათასზე მეტი მტერი, მაგრამ ვე-ღარ შეძლეს მეტი გამაგრება, ამისათჳს რომ რამდენსაც ხოცდნენ, იმდენი თან და თან ემატებოდნენ სპარსები. რაკა გაეწყობოდა, დასტოვეს იმათი ადგილი და თჳთ ივლტეს მთებში მაშინ, რადგან წინაამდეგნი აღარვინ ჰყავდათ, სპარსებს. შევიდნენ ლაზიკის სამზღჳრებში დაუბრკოლებლად მერმეროე, რა რომ ჩამოვიდა მთებიდ-აგან ვაკეზე, ვერ გაბედა დაულა მარჯჳნივ ხანის წყლისა, სადაც ლაზები იმ დროს ესხდნენ უფრო ხში-რად. ამისათჳს დაიჭირა მარცხენა მხარე, ის ეშურებოდა, რომ მიეცა შემწეობა პეტრას ციხისათჳს, და გიდევაც მიასწრო დროზედ

დაგისტემ, რომელიც სრულებით არ მოელოდა იმას როგორც რომ შეიტყოს იმისი მოახლოვება, იმ წამსვე გაიქცა სირცხვილეულად და გავიდა რიონს გაღმა ისე მსწრაფლად რომ ბარგის წაღებაც არ დაუცლია ჯარისა-თვის. გარნიზონმა, რა რომ დაინახა დატოვებული ბანაკი, შეესივა იმას და უნდოდა აღება, მაგრამ ჭანებმა, რო-მელნიცა იყვნენ რომაელებთან და დარჩნენ აქ, უკანვე შე-რეკეს სპარსები ციხეში და თჳთან აკრიფეს ყოველივე დანაშთენი და წავიდნენ თჳს-თჳსად

მეცხრეს დღეს, შემდეგ დაგისტეს დატოვებისა, მოვი-და მერმერო, და **1500** სი (ათას ხუთასის) კაცისაგან ჰპოვა მხოლოდ **150** (ას ორმოც და ათი), რომელთა შეეძლოთ კიდევ იარაღის ხმარება ხოლო **350** (სამას ორმოცდა ათი)—დაჭრილი და დამახინჯებული. სპარსებს არ გამოუტანიათ გალავანს გარეთ მკუდრები, გარნა და-ეწყოთ შიგნით წესისამებრ მათისა და ითმენდნენ გასა-ოცებლის მოთმინებითა ამ საძაგელს სუნს ეს ქმნათ იმათ უფრო იმისათჳს რომ მტერი მოგვერიდებათ.

მერმერომ, ნახა რა მდგომარება გარნიზონისა, ჰსთქუა დაცინებით «მართლად რომ სატირალი და საგლოველი არის რომის იმპერია, რომლისა ძალა ისე დაცემულა, რომ ვერაფრის ღონის ძიებით ვერ შეიძლო **150**-ის (ას ორმოც და ათის) კაცის ძლევა, რომელთა საფარად კედლებიც არ ჰქონიათო »

მერმერომ ისარგებლა ამ მოცალეობით: შეაკეთა სიმა-გრეები ჯერ, მინამ სრულებით განამტკიცებდა იმათ, შე-მოავლო გალავანი ქვიშით ავსებულის ტომრებითა; ესენი

რო გააკეთა, მერმე აუშენებინა ქვითკირის გალავანი; აგ-რეთვე გააკეთეს წყლის შემოსადინარიც. შემდგომ ამისა, მერმერომ შეაყენა ციხეში **3000** (სამი ათასი) საუკეთო-ესო მხედრობა თჳსის ჯარისა, მაგრამ ხარჯი კი არ მი-უცია საკმაოდ. ამისათჳს რომ უნდოდა დარბევა საუკეთო-ესო მოსავლიანის ადგილებისა და იმედობდა რომ შემ-ოიტანდა მრავალს სასმელ—საჭმელსა.

გობაზემ შეიტყო ყოველივე ზემო მოხსენებული გა-რემოება, მაგრამ არ დაუკარგავს იმედი მამულის განთა-ვისუფლებისა: რადგან მტერი იდგა რიონის მარცხნივ, ის რაცხდა თავის სამეფოს კარგად დაცულად. ამისათჳს რომ ეს მდინარე არის განიერი, ღრმა და ჩქარი, მაშა-სადამე ძნელი გასასვლელი, და უკეთუ მტერი განიზრა-ხავდა გაღმა გასვლას, ლაზებს დაჭერილი ჰქონდათ მე-ორე ნაპირი და მზათ იყვნენ იმათის პასუხის მისაცემად.

მერმეროემ ვერ გაბედა მაინც რიონში გასვლა დაჰ-ყვა ამ მდინარეს მარცხნივ და დაბანაკდა გორაკებზე, რომლითა არის აღელვებული ეს მხარე, სადაც ველარ ჰპოვა ის უხვება სასმლის—საჭმლისა, რომელზედაც იმედობდა, ამისათჳს დასტოვა თავისი პლანი. ამოარჩია **5000** (ხუთი ათასი) საუკეთესო კაცი თავის კორპუსისაგან, რომელსა უჩინა წინამძღჳრად ფაბრიზუს და უბრძანა იმათ რათა ითარეშონ და აძლიონ საზრდო პეტრას გა-რნიზონსა: თჳთან კი უკანვე დაბრუნდა სომხეთში, სადაც დაიზამთრა.

ამ **5,000** (ხუთი ათასის) კაცით ავიდა ზემო მხა-რეში, საქართჳელოს სამზღჳრებისაკენ, დაბანაკდა იქ

და იწყო იქიდან რბევა ლაზების სოფლებისა, ე. ი. საზანისა, საქარისა და სხუათა. **1000** (ათასი) კაცი, ამორჩეული იმათ შორის იყვნენ გაგზავნილნი მზვერავად.

გობაზემ, ჰსცნა რა მდგომარეობა სპარსებისა, აცნობა ყოველივე დაღისტეს, რომელიც ამ დროს მიყობოდა რიონს აღმა მარცხნივ და იყო დაბანაკებული ლაზების ბანაკის პირისპირ. ესენიც იდგნენ აქ ფონზე, ამისათჳს გავიდნენ და შეერთდნენ რომაელებთან. ორი კაცი სპარსების მზვერავთაგანი ჩაუვარდათ ამათ ხელში, რომელთაგან შეიტყვეს ყოველი იმათ გარემოება. მაშინვე ესენი მიეპარნენ იმ **1,000** (ათას) კაცთა და ასე მოსწყვიდეს რომ ერთი მოაბეთაც არ გადარჩენიათ სხუა სპარსები, მოიმედნი მზვერავებისა, განისვენებდნენ ბანაკში უზრუნველად მაგრამ დილას ალიონზე გამოაღჳძეს ისინი **13 000** (ცამეტმა ათასმა) რომაელმა და ლაზმა, რომელთა აგუწყეს სრულიად, გარდა ცოტაოდენისა, რომელნი გარდარჩნენ სიბნელის შემწეობითა. იმათი სარდალიც მოიკლა. დანაშთენი განდევნეს საქართველოში.

შემდგომს. **550**-ს (ხუთას ორმოცდა ათს) წელში, ქასრემ გამოგზავნა კიდევ ერთი დიდი კორპუსი, შემდგარი ოსთა და ალანთაგან ეს ხალხნი ამ დროს ემსახურებოდნენ ორივე მხარესა. ე. ი რომაელებსაცა და სპარსებსაც ჯამაგირითა. ეს ჯარი ჩამოვიდა პირდაპირ ლაზიკაში და დაბანაკდა ვაკის მაზრაში ცხენის წყლის პირზე.

გობაზემ და დაღისტემ, მოილაპარაკეს რა ერთმანერთთან, დააპირეს დაუყოვნებლად შებმა სპარსებთან მაგ-

რამ ლაზებმა აღარ ინებეს ერთობა რომაელებთან; ამისათჳს რომ, ამბობდნენ ისინი: რომაელები არ არიან აღჭურვილნი, როგორც ჩუჱნ, ჩუჱნის ოჯახისა, ცოლშვილისა და მამულისათჳსაო, ასეთმა იმათმა გაყკაცობამ უსაზომოდ განახარა გული გუბაძისა მაგრამ როდესაც გაიმართა ჩხუბი, ლაზები, რომელთა ითხოვეს წინაობა, გამოიქცნენ და სირცხვილეულად შემოერივნენ რომაელებს. მერმე მოხდა რაოდენიმე კერძოობითი ჩხუბი, რომელიც თან და თან გაცხოველდა და მერმე შეიქმნა საზოგადო. ერთმა უბრალო საქმემ შააშინა ათასი დარჩეული კაცი რომელნიცა წინ იდგნენ და იყვნენ მშუჱნიერება სპარსების ჯარისა, მათმა ლტოლვამ წარიტაცა მთელი კორპუსი, რომელმა მიმართა ბანაკს. რომაელები და ლაზები შეჰყვნენ თან და აიღეს ბანაკი იმათი. ამ სახით განდევნეს და აოტეს სპარსები, რომელთა განვლეს ისევე ხეობები, რომლითა შემოვიდნენ ლაზიკაში. ამ დროს მოდიოდა კიდევ დიდი ჯარი სპარსეთიდგან იმას მოჰქონდა ხარჯი პეტრას გარნიზონისათჳს და რა რომ ნახა ოტებული ჯარი, ისიც შეშინდა და უკანვე დაბრუნდა საჩქაროდ.

ასეთი იყო წარმატება სპარსების ამ ბრძოლაში მალე შემდეგ ამისა დაღისტე, რომლისაცა მოქმედება გამოცხადდა კონსტანტინოპოლში მისთა დამბეზღებელთა მიერ გამოცვალეს და იმის მაგიერად დანიშნეს ბასსა. ის რომელმანც ესოდენ ზაბუნად იპატივა რომის ქალაქი გოტთაგან

ამ აღრეულობის დროს აფხაზები განუდგნენ ლაზებს

რომელნიცა უნწესებდნენ იმათ მთავრებსა და კიდევაც განაგდეს იმათგან დანიშნულნი მთავრები, იუსტინიანემ გაგზავნა მხედრობა იმათ დასამორჩილებლად და იქნება კიდევაც აღესრულებინათ ეს რომაელებს იმათ თუ არ მოეთქოვნათ იმათგან ახალი ხარკი. აფხაზებს ეწყინათ ასეთი უსამართლოება რომაელთაგან, ამისათვის თვითან ამოირჩიეს ორი მაგარი: ერთი აღმოსავლეთის მხარეში და მეორე დასავლეთისამან და იდუმალ შეეკრნენ სპარსებსა, რომელთა გამოართვეს **60** (სამოცი) მძევალი იმათის ერთგულობის საყაბულოდ.

პირველი ბრძანება, რომელიცა მისცა იუსტინიანემ ბასსას, იყო მორჩილებაში მოყვანა აფხაზებისა. ბასსამ დაუყოვნებლად გაგზავნა ზღვით საუკეთესო მხედრობა მმართებლობასა ქუეშე ულიგაგისა და იოვანესა. ფლოტიდან გავიდა ჯარი მახლობლად აფხაზებისა და აფსილების სამზღვრებისა.

რამდენიმე მილზე, აფსილეთის სამზღვრებითგან აფხაზეთში არის ერთი მაღალი მთა, მომავალი დახრით კავკასიის მთიდგან, რომელიც, რამდენიც უახლოვდება ზღვას, იმდენი თან და თან მდაბლდება და მერმე იმის ნაპირზე სრულიად იკარგება, აფხაზებს მჳწლად აუგოთ ამ მთის ზურგზე დიდი და მაგარი ციხე, რომელშიაც შედიოდნენ ისინი, როცა მტერი მიადგებოდა ეს ადგილი იყო შეუვალი, ამისათვის რომ მხოლოდ ერთი გზა აქჳს აფსილეთიდგან მიმავალი ვიწრო ხეობაში, რომელიც დევს მთასა და ზღჳას შუა ეს ხევი არის ასეთი ვიწრო და მაგარი, რომ ცოტა ოდენ კაცს შეუძლია და-

უხშოს ეს გზა მთელს კორპუსს ბერძნები უწოდებდნენ
ამ ხეობას ტარაზეს. დღესაც დახშული არის ეს ხევი
კოშკითა და ზემოხსენებული ციხე დგას მახლობელს მა-
ღალს მთაზე; ამ ციხეზედ უწოდებენ ანაკოპიას.

რომაელები, ნახეს რა სიმრავლე მტრისა ამ ხევში,
ძლიერ დაღონდნენ და ვერ გაარჩიეს თუ რა ექმნათ.
ამ ურკაში რომ იყვნენ, ერთმა იმათმა ღენერალმა, იო-
ვანემ, მოიგვარა ეს ღონე რომლების ფლოტი მოყობო-
და ნაპირ ნაპირ. იმან ანიშნა იმას მოახლოვება. მაშინ
შესხა იმაში ერთი ნაწილი ჯარისა და უბრძანათ გასვლა
ხევს იქით ზღჳს პირზე და მერმე მოივლოა ციხისა. აფხა-
ზებმა როცა ნახეს რომ მტერმა თავი დაუკრათ, შეს-
ცვივდნენ ციხეში, რომელიც ვეღარ დაუმაგრდა რომაე-
ლებსა აიღეს ეს ციხე და კიდევაც დასწვეს.

ჭფსილეთი მდებარე ლაზიკასა და აფხაზეთის შორის
შუა აგრეთვე განუდგა რაოდენსამე ხანს რომსა ერთმა
ლაზიკის თავადმა, სახელდობ, ტერდეტმა, მისცა ციხე წი-
ბულიმ, სპარსებს, სპარსი, ციხის კამენდათი, ეტრფვა მეუ-
ლი კამანდათის მეუღლეს, ამისათჳს ამან მოჰკლა ის სპა-
რსი, გარნიზონიც ამოსწყვიტა და კვლავ გარდასცა ციხე
ლაზებსა, სანამდის რომაელებს მოჰკლავდათ მორჩილე-
ბაში აბხაზები და აფსილები, ბასსო შემოადგა დიდის
ჯარითა პეტრას და იღებდა იმას. იმან მიიღო რჩევა
დაგისტესი და განაგრძო მინის ამოღება იმავე მხარიდ-
გან, სადაც აღებინებდა იმის წინა მოადგილე; სპარსები
მოელოდნენ ამას და თავადარიგი დაიჭირეს. შეკრიბეს
ბევრი ძელები, რომელნიცა შეუდგეს ციხის გალავანს სვე-

ტენად და უწინდელი ბინა ამოავსეს თიხის მიწითა.

როდესაც რომაელებმა გათხარეს მიწა და ამოყარეს მიწა, დიდად გაოცდნენ, როცა მთელმა კედელმა რომლისა დაქცევას მოელოდნენ, დაიწია ნელ-ნელად და დადგა ადგილზე უვნებლად; მერმე სპარსებმა ისე მსწრაფლად აამაღლეს ის მიწა, რომ რომაელებმა ვერც კი მოახწიეს იმაზე ასვლა

რომაელები დაღონდნენ ფრიად; ამისათვის რომ ყოველი მხარე ციხისა იყო აშენებული კლდეზე თვინიერ ამისა და ადგილებიც იყვნენ ისე დაკიდებულნი რომ არ შეიძლებოდა მიდგომა და მაშინების ხმარება.

რომაელების ბედათ, იმათ ჯარში იყვნენ იმდროს რაოდენიმე საბირის ჰუნნი. ეს აუარებელი ხალხი, განაწილებული მრავალ სამთავროდ, ემსახურებოდა, ერთსავე და იმავე ჟამს, რომაელებსაც და სპარსელებსაც, რომელი მეტს მისცემდა ქირასა ამათ ნახეს რა, ბასსას მწუხარე მდგომარება, თავს იდეს გაკეთება ახალის მაშინისა ეს მაშინა იყო დაწნული ტირიფის წნელებითა და ზეიდან დახურული ტყავითა. იმას ქჳეშ გამოაბეს რკინის ჯაჭვები, რომელზედაც დაჰკიდეს დიდი რკინით თავმოჭედილი ძელი ორმოცს კაცს შეეძლო შედგომა ქჳეშ და ტარება სადაც უნდოდათ.

სხჳა მხედარნი ჩაცმულნი ჩაჩქნებითა მზათ იყჳნენ კედლის საქცევად, როცა მაშინა შეარყევდა იმას. მოსაგერებლად ამ მაშინისა, სპარსებმა მოიტანეს ერთი ხის კოშკი ციხის გალავანთან, განძრახ გაკეთებული ამ შემთხვევისათვის, რომელშიაც ისხდნენ მხედარნი შეჭურვი-

ლნი თავიდან ფეხამდინ. ამათ იწყეს კოშკიდან სხმა ამ მაშინაზე ანთებულის გოგირდისა და ნავთისა. მაგრამ, მხედარნი რომელთა ჰქონდათ მზათ რკინის იარაღები, ხვეტენ იქიდან და აქრობდნენ იმას და ამ სახით იფარავდნენ მაშინას ცეცხლისაგან.

მაშინ ბესსამ უყო პეტრას საზოგადო ერიში თუმც ის იყო მაშინ **70** (სამოც და ათის) წლისა, მაგრამ პირველი ახლტა კიბეზე სალდათების განსამხნევებლად. შეიქმნა საშინელი ბრძოლა; **2300** (ორიათას სამასი) სპარსნი იყვნენ მეციხოვნედ **6000** (ექვსიათასი) რომაელი. ამათ უჭირდათ ჩხუბი, რადგან იდგნენ კიბეებზე; მრავალნი მათგანნი დაიხოცნენ, თავიანთ ბესსაც დაჭრილი კისერში, ჩამოვარდა ციხის გალავნიდამ, მაშინ შექქნეს საზარელი ხრიალი, სპარსებმა დაუშინეს იმას ისრები, მაგრამ რომაელებმა დახურეს ის თავიანთის ფარებით და გაიტანეს იქიდან. შემდგომ ამისა ბესსამ რა რომ მოიხედა და მოვიდა ცნობაზე, იმ წამსვე მიიჭრა ციხეზე და განაგრძო ომი რომაელებმა გამოაჩინეს სასწაული მხნეობისა.

სპარსები ბოლოს შეშინდნენ და ჰსთხოვეს რომაელებს თავისუფლად გასავლელი გზა და პირდებოდნენ ციხის დაცლასა, მაგრამ ბესსამ არ დათანხმდა ამაზედ, ამისათვის რომ რამე ხრიკს გვიზმენ სპარსებიო. მხოლოდ მოითხოვა მათგან სრული დამორჩილება ამ მოლაპარაკე[illegible]ი ჩხუბი არ გაწყვეტილა, სპარსებმა არ ისურვეს სრული დამორჩილება და განაგრძეს მომაკვდინებელი ომი, ერთბაშად გადავანი, რომელსა რომაელებმა გამოუთხარეს

საფუძველი, წამოიქა იმათის მაშინებითა მაშინ ხალხი მიატყდა ამ ნაღ ადგილს, რომაელები დახვდნენ იმისთანავე ძალითა, როგორათაც შეუტყეს სპარსებმა ... გამარჯვება საეჭოდ იყო ჯერ კიდევ. მაგრამ ერთმა სომეხმა, იოვანე გუზამ, ამოარჩივა მხნე კაცები სომეხთაგანივე, შემოუარა ქალაქს და ასეთი ადგილიდან ავიდა გალავანზე. საიდამაც სპარსები სრულიად არ მოელოდნენ მტერის კოშკსაც რომელიც, სპარსებს ეჭირათ კიდევ ხელში უჩნდა ცეცხლი; სპარსებს შემოკლდოთ ალყი ყოვლის მხრით ზოგნი მათგანი გამოცვივდნენ გარეთ და ზოგნი შეცვივდნენ შიგნით, ამ ორმა შემთხვევამ დასცა ზარი მთელს ქალაქს, პეტრას. რომაელებმა ისარგებლეს ამ გარემოებითა: იმათ მოიხმარეს უკანასკნელი ღონისძიება და კიდევაც აიღეს ქალაქი, **500** (ხუთასი) სპარსი, რომელნიცა გარდურჩნენ სიკვდილს, შევიდნენ აკროპოლისში (1) **730** (შვიდას ოც და ათი) დარჩათ ტყვედ რომაელებს, მათგანი მხოლოდ **18** (თვრამეტი) კაცი იყო დაუჭრელი, რომაელებსაც დაეხოცათ მრავალი სული, სხვათა შორის მხნე სომეხი, იოვანე გუზაც. რომელიც დაკოდეს თავში ქვითა, როდესაც ადიოდა ქალაქის გალავანზე

---

(1) სიტყუა აკროპოლის არის ბერძული და შედგება ორის ლექსისაგან: აკროს—მაღალი და პოლის—ქალაქი ძველს დროში შუა გულ ქალაქებში, მაღალს ადგილზე, აშენებდნენ ციხეებს ქალაქის დასაცვავად მტერთაგან: ამა ქალაქების ნაწილებს უწოდებდნენ აკროპოლისსი.

მეორე დღეს, ქალაქი რომ აიღეს, რომაელები შემოადგნენ იმგრგვლივ აკროპოლისს, რომელსა იგერებდენ მათგან სპარსები და შეპირდნენ ამათ დაუხოცაობასა და თავისუფლად განტევებას, თუ დასცლიდნენ აკროპოლისს მაგრამ სპარსებმა ამჯობინეს სიკ̂უდილი როგორც შეფერისთ მამაცთა, ამისათჳს აჩვენეს რომაელებს იმ ნაირად სახე ვითამ არაფერი ესმოდათ. მაშინ ბასსამ უბრძანათ ცეცხლის ჩაყრა ყოვლის მხრით აკროპოლისში; ალი შექროდდო იმას მსწრაფლად; სპარსებს თვალისწინ უდგათ სიკ̂უდილი; ცხადად იცოდნენ რომ უნდა დანაცურებულიყვნენ და აღარა ჰქონდათ არა ვითარი იმედი, არც საშუალობა თავის გარდარჩენისა მაგრამ მაინც უარ უთხრეს რომაელებს დამორჩილებაზე; იმათ ამჯობინეს სიკ̂უდილი და კიდევაც შთანსთქო ალმა ისინი რომაელების თ̂უალწინ, რომელნიცა უსაზომოდ ჰკჳრობდნენ იმათ მხნეობაზე.

მაშინ შეიტყეს რომაელებმა თუ როგორ ძჳრფასად რაცხდა ქასრე ლაზიკის პატრონობას, რადგან გამოეგზავნა იმას იმ ნაირი შეუშინებელი მცველები. პეტრა აიღეს **551** (ხუთას ორმოცდა თერთმეტს) წელს.

დავლა იყო აუარებელი იმოდენი საჭურველი იპოვეს, რომ თითო კაცს ხუთ-ხუთი ხ̂უდათ და სარჩოც ექნებოდა ხუთის წლის სამყოფი გარნიზონისათვის; მაგრამ ღჳნო კი ვერ ჰპოვეს, გარნა ძმარი და ღომი მრავალი. უეჭ̂უელია ამ უკანასკნელი საგნისაგან აკეთებენ მყავე სასმელს, რომელსა ჰქჳა ბუზა.

ყველაზე უფრო გააკჳრვა რომაელები წყალმა, რომელი

შედიოდა ქალაქში: ამისათჳს რომ დასაწყისიდგანვე ბრძოლისა მოჰსჭრეს წყალი და ქალაქი ეგონათ ურწყულად ქასრე მოელოდა ამას. ამისათჳს შეაყვანინა წყალი ქალაქში მილებითა სამწყებად ერთი მეორეზედ, ცოტახანს უკან შეიტყეს ტყვებისაგან რომ კიდევ ყოფილიყო წყალი, მიმდინარე ქალაქში იმის ქჳეშ, რომელიცა მოსჭრეს პირველად ისეც მოშალეს, მაგრამ როდესაც აიღეს ქალაქი და კიდევ იპოვეს წყალი, მაშინ ჰსცნეს თავიანთი შეცრება და უკჳრდა დიდად ესე ვითარი ხელოვნება სპარსების საქმეში.

რომაელებმა სრულიად შემუსრეს პეტრა, ამისათჳს რომ სპარსებს ხელთ აღარ ეგდოთ ეს მაგარი ადგილი. ამ დროიდგან იმისი სახელი ამოიშალა ისტორიაში, და აქამომდე ეჭჳიც არავის ჰქონია, იყო კიდევ სადმე იმისი ნატამლები თუ არა, რომელთაცა ზედა არიან დიდი ხეები ამოსულნი.

მაგრამ მერმეროეკი ეშურებოდა პეტრას მისაშველებლად. გაზაფხულიც მიიწურა. მოდიოდა რა აჩქარებული შეიტყო ქალაში კატასტროფა (1) მაშინ უკანვე დაბრუნდა და დაიჭირა გზები, მიმავალი საქართჳლოში. გავიდა უჯრილაში და შეუდგა სკანდას ციხის გამაგრებას

(1) კატასტროფა არის ბერძული სიტყჳა, რომელიცა ნიშნავს: უბედურს შემთხვევას. ამ სიტყჳას ხმარობენ ევროპიელები, ამისათჳს არ იქნება ურიგო რომ შემოვიღოთ ქართულს ენაზედაც. რადგან ეს ლექსი არ ითარგმნება ჩუჱნს ენაზე ერთის სიტყჳთ. მთარგ.

რომელიც ჰზდვას ამ მდინარის მარჯვენივ ორს მილზედ (თოთხმეტ ვერსზე) შემდეგ წამოვიდა იქიდან და მიმართა რიონისაკენ, რომელშია გავიდა ფონად ჯარითურთ და გაემგზავრა არხეოპოლისაკენ (ნოქალაქევი). იმას უნდოდა ამ ქალაქის გარეშემორტყმა. არხეოპოლისი იყო დედა ქალაქი ლაზიკასი იმან დაიტოვა მარცხნივ ვარციხე (როდოპოლისი), რომელიცა შემუსრეს ლაზებმა. მთელი მერმეროეს ჯარი იყო კავალერია; (ცხენოსანი) იმას ჰყვანდა, ამას გარდა, რვა სპილო კოშკებითა. ძნელი გასაგებია თუ როგორ გააკეთეს სპარსელმა გზები ისე რომ ამ საოცარმა მხეცებმა განვლეს იმათზედა.

უეჭველია გაუკვირდებათ როცა იფიქრებენ: თუ როგორ შემოუშვეს რომაელებმა სპარსები ლაზიკაში ყოველის დაუბრკოლებლად? ძნელი იქნებოდა ამისი გაგება, რომ არ ვიცოდეთ მაშინდელი რომაელების ღენერლების დაუდევნელობა და უზრუნველობა, რომელთაცა ჰქონდათ იმედი იუსტინიანეს მოწყალებისა.

თითქმის იმ დროს, როდესაც ღენერალი ბასსა უნდა წასულიყო და დაეჭირა ლაზიკაში შემოსავალი ვიწრობები, ის გარდავიდა სომხეთში ხარკის მოსაკრებად. უეჭველია, რომ თუ იმას არ ნდომოდა შემოშობა სპარსებისა, ისინი ვერ შემოვიდოდნენ ლაზიკაში.

როდესაც მერმეროე მივიდა არხეოპოლისთან, შეიტყო რომ **3000** (სამი ათასი) გარნიზონს გარდა, რომაელებს ჰყვანდათ კიდევ **9000** (ცხრა ათასი) მხედარი დაბანაკებული რიონის პირზე. გამოლმა იმან შერაცხა უმჯობესად ჯერ ამ ბანაკის შემუსვრა, რომ მერმე განსხ-

ვენებით შემოდგომოდა ქალაქს ასაღებად. მაშასადამე ჩაუარა ამ ქალაქს გვერდი, დაუწყო ლანძღვა სალდათებს და უთხრა: ორიოდე სიტყუა მაქუს სათქმელი თქუენს ამხანაგებიანსაო და მალე გნახავთო. რომაელების ბანაკი სრულებით არ მიელოდა იმას სიმცირისაგამო რომაელებს არ შეეძლოთ სპარსების ჭირდაპირობა, ამისათჳს აიყარნენ და გავიდნენ რიონს გაღმა. როდესაც მერმეროე მივიდა იქ, ვეღარავინ იპოვნა დაცლილი ბანაკის მეტი. ამ შემთხვევაში სრულებით გააგიჟა ისა და იმედობდა ჯაურის ამოღებას არხეოპოლისზე.

ეს ქალაქი იყო ფრიად მაგარი როგორც მდებარებით ეგრეთვე ციხეებითა, ეს სჩანს დღესაც. ერთი მაღალი ციხე ედგა ყოველის მხრით ციცაბოიან გორაზედ, მაშასადამე იყო შეუვალი; მეორე ამაზე უფრო დაბალი მეორეს მხრით მდაბლობზე, რომელსა ჩაუდიოდა მარცხნივ მდინარე ტეხური გამომდინარე მთებიდგან ამ ციხეზედ მიისვლებოდა ვაკიდგან, თუმცა არ ედვა იმას სრულებით გაშლილი ადგილები ხშირი ტყე და მთის ნაპრალები იცავდნენ მთებითგან მიმავალ გზებსა ორივა კედელი იყო გაყვანილი ქვიბაოდ საფრად შეწუდულთათჳს.

მერმეროემ შემოადგა ქალაქს და, შესაფერად ადგილის მდებარეობისა, იწყო აღება იმისი: იმან გააკეთებინა საბირებს კედლის სამტვრევი იარაღები იმ ნაირად, როგორც ჰქონდა რომელებს პეტრას აღებაზედ და მიმართა ისინი სპილოებითურთ მდაბალს ციხეს ქუემოიდან და დოლომიტები მიგზავნა მაღალს ციხეზე. ეს დოლომიტები იყვნე მცხოვრებნი დილებისა, კასპიის ზღვის სამხრეთით

მდებარე ქვეყნისა, რომელი არის ფრიად მთიანი. მაშასადამე ეს ხალხი იყო გავარჯიშებული მთებზე სიარულში, სიკისკისე იმათი გასაოცებელი იყო. მხოლოდ ერთი ფარი, ერთი შუბი და სამი ისარი შეადგენდნენ იმათს საჭურველსა, მწრაფლად გადარბოდნენ კლდიდან კლდეზე, შეუტიდნენ ციხეს ხან ერთის და ხან მეორის მხრითა და დიდად აწუხებდნენ გარნიზონსა, ხოლო სპარსები და საბირები ავწროებდნენ რომაელებს ქვეყნიდან.

ქალაქის კომანდათებმა, ოდოსმახმა და ბაბასმა, ნახეს რა საშიშარი მდგომარეობა თვისი, განიზრახეს გასვლა ციხიდან ჯარითა და თავდასხმა სპარსებზე მოგროვდნენ ყველანი კარებთან და მზათ იყვნენ გასასვლელად. მხოლოდ ცოტაოდენი მათგანი უნდა დარჩენილიყო ციხეში და მდგარიყო ქონგურებზე. ამ დროს აღმოჩნდა ღალატი, რომელმაც კინაღამ დაღუპა ეს ქალაქი. იმ ჟამად არხეოპოლისში ჰსცხოვრებდა ერთი კეთილშობილი ლაზი, რომელი შეპირებოდა სპარსებსა, რომ გახურებულის ომის დროს ცეცხლს მოუკიდებ რომაელების მაგაზინებსაო და კიდეც აღასრულა, ცეცხლი გაჩნდა იმ წამს, როცა ჯარი აპირებდა გასვლას. მაგრამ კომენდათებს არ შეშინებიათ ამ შემთხვევისა, ერთი ნაწილი ჯარი მიაშველეს მაგაზინებს ცეცხლის საქრობლად და დანაშთენით გავიდნენ და დაესხნენ მტერსა.

სპარსები, რომელნიცა სრულებით არ მოელოდნენ ამისთანა შეიწროებულს დროს რომაელების ციხიდგან გამსვლას, ადგნენ ქალაქს უთავდარიგოთ და უცქერდნენ ცეცხლსა, ერთბაშათ მაშინისტები დახოცეს რომაელებმა

და მშჳლდოსნები აოტეს; ამას გარდა ერთმა სპილომ, რომელიც დაიჭრა, გამწარებული დაუბრუნდა თავიანთსა და დაშალა სხჳა სპილოები, რომელნიც იყჳნენ დაყენებულები რაზმად, ბარბაროსნი იყჳნენ ოტებულნი ყოვლის მხრით, რომაელები მისდევდნენ იმათ ფეხ-და-ფეხ და ჰსწყვეტდნენ როგორც შეეძლოთ.

დლომიტებიც, რომელნი დასცქეროდნენ ამ საქმეს ზევიდან გაიქცნენ სირცხვილეულად სპარსელნი სრულიად დამარცხდნენ **4000** (ოთხი ათასი) მათგანი დარჩნენ ბრძოლისა ველზედ სამის სარდლებითა და ოთხი დროშითა, გარდა ამისა **20000** (ოცი ათასი) ცხენი დაიღუპა ამ ეკსპედიციის დროს თუ შიმშილითა და თუ სისუსტითა, ამისათჳს, რომ ლაზიკას არა აქჳს საძოვარი ადგილები.

საცოდავი მერმეროე წამოვიდა თჳსის ჯარის ნატამალებითა მუხერისში (1) სადაც იყო სიმრავლე სოფლებისა რომელსაც პროკოფი მოგვითხრობს ამ ლაზიკის ნაწილზე დიდად შესანიშნავია.

მდებარე რიონსა და ცხენის-წყალს შუა, იმან იცოდა, როგორც დღესაც, მრავალი ღვინო და სხჳა და სხჳა ნაირი სასიამოვნო ნამყოფები ძველმა კოლხიდლებმა ააგეს ამ მხარეზე, რიონის პირზე, ერთიმათგანი ციხე, რომელიც ლაზებმა დააქცივეს იძულებით, ამისათჳს რომ ის იდგა კაკე ადგილზე იქა, სადაც რიონი ჰსტოვებს მთებსა: შერაცხეს ის სპარსებისათჳს ადვილად ასაღებად. ძველად

---

(1) მუხერ ისუწოდებდნენ იმ დროს იმ კაკის მხარესა, რომელიც არის რიონსა და ცხენის-წყალს შუა. მთარგ.

ბერძნები ამ ციხეს უწოდებდნენ ქოთაიუმ; მაშინდელნი ლაზები ეძახდნენ ქუთათისიუმს, ხოლო ახლა გამოსთქმენ ქუთათისად.

მერმეროჲს უნდოდა გამაგრება ამ ციხისა, მაგრამ დაუზამთრდა და მასალები არა ჰქონდა ხელში, ამისათჳს, როგორც იყო, დახშო ნატამლები იმისნი ძელებითა და ამას დასჯერდა. თუმცა დამარცხდა მაგრამ ხელში ეჭირა კიდევ საუკეთესო ლაზიკას ნაწილები და ჰქონდა დახშული გზები რაჭისა, ლეჩხუმისა და სვანეთისა რომაელებთათჳს. აგრეთვე მოუჭრათ იმათ გზა უხემერიონისა, რომელი იყო, როგორც ზემორე მოვიხსენეთ, პირის პირ ქუთაისისა მაღალს გორაზე, სადაც ახლა არიან ციხე და მცველი მონასტერი, ამ ციხეში ჰყავდათ რომაელებს და ლაზებს გარნიზონი, ეს ციხეც ჩაიგდეს სპარსებმა ხელში.

თუმცა რომაელებმა კი გაიმარჯვეს არხეოპოლისთან, მაგრამ მდგომარეობა ლაზებისა მაინც სამწუხარო იყო კიდევ მხოლოდ გობაზე, რომელსა ჰსძულდა ყეენი ქასრე და ეშინოდა იმისი ვერაგობისა, იყო მტკიცედ შეკრული რომაელებთან, მაგრამ უმეტესი ნაწილი ლაზებისა, რომელთა უპატიურად ეპყრობოდნენ რომის ღენერლები, იყო მიდრეკილი სპარსებისადმი ამისგან მოხდა რომ თეოფობიუსმა, ერთმა ლაზის თავადმა, შეპირდა მერმეროჲს უხემერიონის ციხის მიცემა, რისათჳს აღუთქუა იმას მერმეროემ დიდი ჯილდოს მიცემა, ამ მოღალატემ იცოდა რომ უხემერიონის გარნიზონს ვერაფერი შეეტყო თავიანთისა და გზაც დახშული ჰქონდა სპარსებისაგან, ერთხელ ის შევარდა ციხეში შეშინებულის სახით და და-

არწმუნა გარნიზონ, რომ მთელი რომის ჯარი დამარცხებულაო. ამ ამბავზე ზარი დაეცა ციხეში მყოფთა, რომელნი შეევედრნენ იმას: როგორც იყოს მოგვიხერხე აქედან გასჳლაო ციხიდგან უვნებლადო. როცა ესენი გავიდნენ ციხიდან, სპარსები შევიდნენ და დაიპყრეს ეს უხემერიონი

აღარაფერი აბრკოლებდათ სპარსებს, რომელთაც მყუდროებით გაატარეს ის ზამთარი. მერმეროემ განაძლიერა უხემერიონის გარნიზონი; ამას გარდა დასტოვა ქუთაისში **3,000** (სამი ათასი) მხედარი და თვითონ წავიდა შორაპანში, რომელიცა განახლებისა და იდგა მუნ განსვენებით.

მაგრამ ცოტა ხანს უკან მიიღო ცნობა რომ რომაელები და ლაზები დაბანაკებულიყვნენ ერთად მახლობლად რიონის შესართავისა ზღვაში რა რომ შეიტყო ეს, აღარ მიხედა ზამთარსა: შეკრიბა თავის მხედრობა მსწრაფლად და დაესხა თავს იმათ. ლაზებმა და რომაელებმა ძლიერ მოასწრეს ლტოლვა. ვინც როგორ შეიძლო. გუბაზე შევიდა მთებში, სადაც იჭირვებდა შიმშილსა და სიცივეს, მრავალნი ლაზნი, პატივისცემისათჳს თავიანთის მეფისა, აღმოიჩენდნენ მისებრ სულის სიმტკიცესა და ითმენდნენ ზამთრის სიცივესა კლდეებში, სადაც მტრის ფიქრი არ ჰქონდათ, ამისათჳს რომ შეუვალნი იყვნენ ისინი ნამეტნავად ზამთარში,

მზაკვარმა მერმეროემ, იმათ მოსატყუებლად. ააშენებინა ლაზების სოფლებში მაგაზინები, რომელნიცა აავსებინა პურითა ვითამ მათთჳს და დაიპატიჟა ისინი მო-

ციქულებითა, ბევრნი ლაზები მოსტყუვდნენ და ჩასცვივდნენ საფრთხეში, უმეტესი ნაწილი მტკიცედ დარჩა მეფის ერთგულებაზე, რომელმა დიდად არაფრად შერაცხა გრძელი მაცთური ბარათი, მოწერილი მერმეროეს მიერ, რომლითა აწვევდა იმას ქასრეს მორჩილებაზე და ჰპირდებოდა, რომ თუ მოვიდოდა ყეენის მონებაში, იმისი სამეფო დარჩებოდა ხელ უხლები.

(დასასრული შემდგომ ნომერში იქნება.)

ი. მოსიძე.

# მ ო ს ა ვ ა ლ ი.

(განგრძელება)

## II

გავიდა რამდენიმე დღე ორნივე მეგობრები შუადღის უკან წვანან კრაოტებზედ, ერთი სწევს ჩიბუხსა მეორე პაპიროზსა ივან სემენიჩი წევს ზურგზედ და უყურებს ჭუჭყიან ჭერსა. ანდრეი პეტროვიჩი წევს გვერდზე თავ-ქუეშ უძევს ხელი ოთახში იყო უწმინდურობა პოლზედ ეყარა პაპიროსის ნამწვები, იდგა ბოლი, და მტვრით იყო სავსე... მოდიოდა წვრილად შემოდგომის წვიმა, საძაგლობაა. მოსაწყენია!

ივან სემეონიჩმა ხანგრძლივ ამოიოხრა.

—აი ვერაგო, რა ნაირი სუქანი ხარ! ამბობდა ანდრეი პეტროვიჩი თითქო თავის თავს ეუბნებოდა, უყურებდა გაშტერებით მიმცურავს ბაღლინჯას ბალიშზედ; სულ სი-თბოსაკენ მიიწევს სთქუა და ხელით გადმოაგდო ძირს.

ივან სემეონიჩი იწვა უძრავად ეტყობოდა რომ რაღაც ფიქრი აწუხებდა

ისევ სიჩემე დაიწყო.

—ანდრეი პეტროვიჩ! უეცრათ დაიწყო ბუბნიკოვმა, ხელები შეიწყო თავ ქუეშ თვალები კი არ მოაშორა ლაივას

—რაო ივან სემეონიჩ? უპასუხა კროტიკოვმა

—რაო?. აი რა, იცით მე რა ვიფიქრე.

—არ ვიცი.

—აბა შეიტყეთ!

—ვინ იცის რა,

ივან სემეონიჩს გაეცინა.

მხოლოდ თქუენ წინდაწინ არავისკი არ უთხრათ; გუშინწინ მე ვიწექი მარტოკა შინ, თქუენკი არ იყავით, რაღაც სევდა შემომაწვა, და ისეთი რომ აღარ ვიცოდი რითი უნდა მიმეცა ნუგეში ჩემის თავისთჳს, ბოლოს მომივიდა ერთი ფიქრი

—რა?

—შეიტყეთ!

—ვერ შეიტყობ!

—ცოლის შერთვა ვიფირე

ანდრეი პეტროვიჩმა საჩქაროთ შეხედა ამხანაგს და ისევ მალე თავი დაანება.

—აი რა, კარგი საქმეა! უპასუხა გულგრილად.

—კარგი საქმეა ხომ კარგი, ჩინებულია, მაგრამ ეშმაკმა იცის ეს საქმე! . მეკი ესე ვფიქრობ, ანდრეი პეტროვიჩ, რომ ჩუენი ცხოვრება არა არისრა სულ ფუჭია, მხოლოდ უბრალოთ დროს ვატარებთ, ეს ცხოვრება კვერცხის ნაჭუჭათ არცკი ღირს! . . აბა იფიქრეთ რა ცხოვრებაა! დილით სწუხარ, დღისით სწუხარ, ღამე სწუხ-

ხარ, საძაგლობაა! ივან სემეონიჩმა უკმაყოფილებისაგან გააფურთხა შუა ოთახში.

—რასაკვირველია იწვები, თავისუფალი დროა, აი ჩქარა ღ̂თის მადლით, დაგვეწყება სწავლა სალდათებისა. იქ საყდრის დღესასწაული, პარადები, და სხჳა უპასუხა ფლეგმატიკურად კრიტიკოვმა.

—ივან სემეონიჩი ყურს არ უგდებდა და აგრძელებდა დაწყობილ აზრსა.

—ეხლა რომ ვიფიქრო ჩემს თავზედ, ჩემს მდგომარეობაზედ, ესე იგი რა ვართ ჩუ̂ნ, რასაკვირველია, ელაპარაკებოდა თავის თავს, თურმე თითონ მაგალითად კორპუსში ვსწავლობდი. სიწმინდეში, სხჳა და სხჳა სწავლა გავიარე, ლიტერატურაში პირველი ვიყავი, ღმერთის გეფიცებით! მიუბრუნდა კრიტიკოვს —მე ანდრეი პეტროვიჩ, ისე შევთხუზამდი ხოლმე, რომ ჩემი ნაჩალნიკები ატაცებაში მოდიოდნენ, რომ თქჳ̂ნ გიამბოთ ვერაფერს ვერცკი გაიგებთ, როგორც მახსოვს ისე აქო ჩემი თხუზულობა რომ პირველიაო და უკეთესი აღარ შეიძლებაო.

—დიახ, წაიბუტბუტა ანდრეი პეტროვიჩმა: და განცჳფრებით თავი გაიქნია.

—აქკი აბა რა არის, არაფერზედ ლაპარაკი არ შეიძლება, თქჳ̂ნ თითონ იფიქრეთ აბა ვინა სდგას აქა, სადაც მისვალ სულ სმაზედ ლაპარაკობენ, რომელსაც მეც შევეჩვიე რიგიანათ დედასთან როდესაც მივიდოდი სუყველაფერი რიგზედ იყო, დანიშნულს დროს წმინდა პერანგს ჩავიცვამდი, როგორც რიგი იყო . . მე ამისთანა

ცხოვრება არ შემიძლიან, შემძულდა. საითკენაც მიიხედამთ იქ გაუწმენდელი ჩექმა გდია, იქ ჩექმების ჩოტგი აგერ პირის დასაბანელი დილას აქეთია იქა სდგას გაუტანელი სირცხვილია, რიგიან კაცს არ შემოესვლება.

—რიგის დაწყობა შეიძლება; ლიხაჩოვს უბრძანოთ პოლი გარეცხოს და წმინდათ იქნება უპასუხა ანდრეი პეტროვიჩმა.

—პოლი რა არის, პოლი უბრალოა . ლიხაჩოვიც ლორია, ამბობდა ივან სემეონიჩი უფრო მაღლის ხმით; აბა შეიხედეთ რითი დადის; ერთხელ შევიხედე კუხნაში როგორ ამზადებდა მოსაწვავ ხორცსა, გავაფურთხე და ორი დღე ვეღარა ვჭამერა.

ანდრეი პეტროვიჩი დაფიქრდა თითქო იგონებდა როდის იყო ის დღეები რომ არა უჭამიარა.

—აბა რისთჳს? შეძლება არ არის! იმისთანა მდგომარეობაში ხარ, რომ ყოველი ფერი უნდა მოითმინო, გეჭიროს თავი რიგიანად, მომხო ხელდასხოც ვერ დაიჭერ ხელში და ცხვირს იმით ვერ მოიხოცამ, გაიცინებენ, ლორს დაგიძახებენ, ოჰ! ივან სემეონიჩმა მეორეთ გააფურთხა და გვერდზედ გადაბრუნდა —იმ მდგომარეობამდისინ მიდიხარ, რომ შენი თავისკე გრცხვენიან, მხოლოდ ჩუმათა ხარ!.. მომავალიც არაფერია, რას ელი? ნამტვრევებსა და შიმშილს. სხჳა იქნება დაჩვეულა ამ ცხოვრებას, და იმიტომ არად მიაჩნია, ისე დაბადებულა, იმისთანა სწავლა მიუღია, მეკი, თქჳენ თითონ იფიქრეთ, მე სხვილ მაუდს ვერ ვატარებ, იმისთანა ტანი არა მაქჳს, —სინაზეაო ამბობენ, სინაზეკი არ

არის, მხოლოდ საჭიროება არის კეთილშობილ მდგომარეობაში... განვსცხრები.. ასე ჰსთქვათ თავის სიცოცხლიდგან სარგებლობა რამ გამოიტანოს მშჳნიერობდეს. მოუმატა ივან სემეონიჩმა და გაიჭიმა ზურგზედ, ტუჩებზედ შაეტყო ბოროტიული შეურაცხელი ღიმილი.

—ის გრძნობდა თავის სიტყვების სიმართლეს და იმ წუთას ხედამდა თავის თავს მამაცად, რომელსაც იღბალი ღმერთმა იცის რათ ემტერება.

ანდრეი პეტროვიჩი იყო ჩუმათ და სწევდა ჩიბუხსა შემდეგ რამდენსამე მინუტისა გაბედა თავის აზრის გამოთქმისა

—მეკი, ივან სემეონიჩ, ასე ვფიქრობ, წარმოსთქვა დაწყნარებით, თქვენი ადგილი არ არის აქ სამსახურისა; თქვენ ჭკუით და განათლებით შეგიძლიანთ კარგ ბედში ჩავარდეთ, უმაღლესი წოდება მიიღოთ.

ბუბნიკოვს კმაყოფილებით ჩაეცინა; ამხანაგის შენიშვნა სიამოვნებით მოხვდა გულზედ

—მე საყვარელო ჩემო ანდრეი პეტროვიჩ, იმაზედ სულ არა ფიქრობ, რომ სამსახურით კარგ ბედში ჩავარდე; ჩემთვის სულ ერთია: ერთ ადგილს ვერ მიცნობენ, მეორე ადგილს დამაფასებენ, ამბობდა მართლად. მე სუყოველთვისინ შემიძლიან წინ წავიდე, პეტერბურგში მყამს დედიდა, რაც გინდათ გაარიგებს, იმ გზაზედა სდგას. მე ანდრეი პეტროვიჩ, გამდიდრება მინდა, მდიდარი ინდა გავხდე. აი რა! მე ვფიქრობ რომ მხოლოდ ცოლისშ ერთვით შეგვიძლიან ესა; აიღე ხუთი ათასი და გათავდა, აი მაშინ იცხოვრე.

კრიტიკოსმა წამოიწია თავი და განკვირვებით დაუწყო ცქერა ამხანაგსა

—როგორ ხუთი ათასი?! ჰკითხა იმან.

—დიახ ხუთი ან არა სოფელი.... ანუ სასახლე სულ ერთია.

—ვინ სულელი მოგცემს.

—სულელი კი არა მზითევში მომცემენ.

—ხუთი ათასსა?

—ჰო! ხუთი ათასსა!

—რას ამბობ, ივან სემენიჩ, როგორ შეიძლება?

—რასაკვირველია შეიძლება, მაშ როგორ გგონიათ, ხუთი მანეთი ავიღო?

—ხუთი არა; აი თუნდ ასი თუმანი

ივან სემეონიჩმა გაიცინა გულში დაიწყო ჯავრობა, მაგრამ ამ შემთხვევაში თავი შეიმაგრა, იმას უნდოდა ლაპარაკით გამოთქმა თავის ჰაზრისა.

—აი თუ თქჳენცა თქვით!... თქჳენ ანდრეი პეტროვიჩ, ფიქრობთ როგორ, ნურას უკაცრავათ ვიყო, სალდათმა რომ მოგცეთ სალოფი და ლოშაკი მაშინვე ცოლს შეირთამთ!

—მაშ რა საჭიროა ხუთი ათასი? იფიქრეთ თქჳენ თითონ.

—როგორ რა საჭიროა, თქჳენ ხომ ცოლს შეირთამთ?

—დიახ?

—მაშ მუქთათ როგორ უნდა ცოლი შეირთოთ, ქჳეყანაზედ მუქთათ ხომ არა კეთდებარა?

—დიახ, მაგრამ თქჳენ ხომ არა გაქჳთარა?

—რომ არა მაქჳსრა . . . როგორ არა? მოითმინეთ. თქჳენ იფიქრეთ, მე ვარ კაცი, მე მაქჳს პირი, ღირსება და წოდება? რას მიბძანებთ სულ ეს მუქთათ მივცე? როლისთჳნ ვსწავლულობდით, ვეწვალებოდით, ვემსახურებოდით? მე ვიყიდი ჩემს ხორცს და სულსა, თქჳენ როგორ გგონიათ სულ ეს ხუთი ათას თუმნათ არა ღირს?

გროტიკოვმა გაიცინა.

—არვიცი იქნება, მოგცენ, უპასუხა ეჭვით

—კიდეც ეგ არის რომ არ იცით, მეკი თქჳენ ცეტყჯთ უთუოთ რომ მომცემენ. აი მაშინა ვნახამთ ბებია ჩემს უნდოდა პეტერბურგში კუპცის ქალი ჩემთჳნ შესართავათა, მაგრა პატარა ვიყავი

ორივე მეგობრები დაჩუმდნენ. ივან სემიონიჩმა ისევ ისე დაუწყო ცქერა ლანდვას —ანდრეი პეტროვიჩმა კი ხანგძლივ დაამთქნარა, გაიჭიმა და თავ ქჳეშ მაიწყო ხელები.

—დაინახეთ? უეცრათ წამოიწია თავი კრაოტიდგან.

—რა?

—სიზამ გაიარა

—რა საჭიროა, ჯანაბას იმის თავი

—ის თქჳენზედ მტრობს, მაცდურს გეძახის, ამბობს რომ აღარ ვივლიო.

—დაეხსენ ნუ ივლის.

ანდრეი პეტროვიჩმა დასდვა თავი ისევ ბალიშზედა, ისევ დაიწყო სიჩუმე.

—როგორ დავაფასო ჩემი თავი? უნდა სწორეთა ვსთქჳა. ხელახლათ დაიწყო ლაპარაკი ივან სემიონიჩმა; გონივრობა მოვიხმარო; ხუთი ათასით ძალიან კარგათ შეიძლება

რომ გაიმართო .... პირველათ ვალებს გადავიხდი, უზრუნველ ვყოფ ჩემს თავსა ტან საცმელით, სულ რიგიანათ; ამ მივარდნილ ადგილსაც არ ვიცხოვრებ, პეტერბურგში, გრანიცას იქით, აი კარგი შემთხჳევა... აქ ნუ გეშინიან სამსახურშიაც წინ წასვლა; ცოლიან კაცს სულ სხჳა ფიქრი აქჳს; სახლში დგას როგორც რიგია, საწოლი ოთახი, სასტუმრო, შესავალი, სულ დაწყობილი რიგიანათ, გემოვნობაზედ კი წყალობას ვითხოვ ანგლისკის კოროლევასაც კი არ დაუარდები, გოსტინა მორთული აბოით, ხალიჩებით, სარკეებით კაბინეტის მებილი წმინდა ტყავით, ერთ კედელზედ კარტები, მეორეზედ პორტრეტები სხჳა და სხჳა გამოჩენილ მწერლებისა, კაცს უხდება ესენი მალიან, ეტყობა რომ იცის ყოველი ფერი; მდიდარ კაცს სულ სხჳა შეხედულობა აქჳს. მდიდარი კაცი თუნდა რომ სულელი იყოს, ვერავინ ვერ გაუბედამს რომ უთხრას, სახეც იმისთანა აქჳს თითქო მთელი ქჳეყანა ჩაუღლაპამს ... სათვალები გაუკეთებია, კაბინეთში ბევრი წიგნები დაუწყვია , ნასწავლივით.

—პოლკის კაპიტანს არა უჭირს რა კარგი მებელი აქჳს ... პატარა ახალი დივანი ნახეთ?

—სამაგელია!... აბა ნახეთ მაშინ როდესაც მე ცოლს შევირთამ, მხოლოდ წინდა წინვე არ მინდა ლაპარაკი.

ივან სემონიჩი პატარახანს გაჩუმდა და უეცრათ სახეზედ შაეტყო ღიმილი; სჩანდა რომ, რაღამაც სასიხარულო აზრმა გაამხიარულა იმისი, გული უნდოდა თავისი ფიქრები წარმოეთქჳა სიტყვებით; ხელ ახლათ დაიწყო ლაპარაკი.

—აქ ანდრეი პეტროვიჩ ვერ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ ის გრძნობა!.. რისთჳს მინდა მე ცოლის შერთჳა? ადგები თავის დროზედ, საცვალი შენზედ წმინდაა, წმიდა ტილოსი, აბრეშუმის ხალათი. საშინლათ მიყვარს მე აბრეშუმის ხალათი; აბრეშუმის ხალათში, თბილა, რბილია; ცოლი დილის ხალათშია იცით რასა ნახავთ; მიხვალ სადილ საჭმელ ოთახში, იქა ვერცხლის სამოვარი დუღს, ლაქია ფრაკით გამოჭიმული სდგას, თითონ კარგის სახისაა, ხელებზედ აცვია ფერჩატკები, სულ სიწმიდე სასიამოვნოდ.. ცოლი თითონ ჩაის დაგისხამს, იქ შეიძლება ისაქმო, თუნდ წიგნიც წაიკითხო, კუხნაში მზარეულები საჭმელს ამზადებენ, სულ კარგათ და ტკბილათ ასე რომ ყოველ ლუკმაზედ ილოკები, არა ფიქრობ იმასა რომ ღმერთმა იცის იქ რა არის ჩატანებული.. საღამოზედ სტუმრათ წახვალ, ტეატრში, ან არა და ნაცნობი ვინმე მოვა, თუნდა თქჳენ ანდრეი პეტროვიჩ, თქვენთჳსაც სასიამოვნო იქნება რიგიან სახლში მისვლა თქჳენ თითონ დაჩვევა გინდათ, სულ გადაეჩვიეთ!.. ცოლი ფორტოფიანზედ დაუკრავს, მღერის ვითომც ბულბული, შენკი ზიხარ და ყურს უგდებ მეტის სიამოვნით თვალებს დახუჭამ!.. აქ მაინც არის, რისთჳს გიცოცხლო; მოიფიქრეთ აბა, მოგიჯდეთ გვერდზე სასიამოვნო, თავზედ ხელს წაგისომს, მოგეხვევა, ტუჩებს მოგიშვერს, ისე თითქო გთხოვს მაკოცეო, ეგ ის ხომ არ არის როგორც რომელიმე ალექსანდრა ივანოვნა იმ კოცნაში მუზიკაა მოშორება აღარ გინდა, სატროფოა!

Обойми поцълуй.

**Выпей душу до дна!**

წარმოსთქვა სიამოვნებით.

ანდრეი პეტროვიჩი გაიჭიმა კრაოტზედ და ჩაეცინა, როგორც კატას, რომელსაც დაჰფხანენ ყურის უკან.

—როგორ მართლათ ლაპარაკობთ, ასე რომ სასაცილოა უთხრა იმან.

—მართლათ?.. ქვეყანაზედ მიცხოვრია; მე თუ ცოლი შევირთე, ვეღარ მიცნობთ, თუ სოფელს მომცემენ გავყიდი, ან არა და სოფელშიაც ცხოვრება შეიძლება, სახლოსნობას მოვეკიდები.

—სოფელს ჯაფა უნდა.. გლეხ კაცნი დაიწყებენ ზარმაცობასა, შენიშნა ანდრეი პეტროვიჩმა.

—როგორ თუ იზარმაცებენ, ჩემთან იზარმაცებენ?.. არა ტყუილია იქეთ მოურავს ამოვარჩევ, რომ ღვთის რისხვა იყოს, ეშინებათ იმისი!

—სოფელში სუყველა ფრის გამართვა შეიძლება, მარტო არაყს დავაყენებ სხვა და სხვა ნაირად ერთ სარდაფს გავიჩენ ძაღლებს სანადიროთ, გავაკეთებ ხიდსა, აუზებს, ბესედკას.

—თქვენ მოცხრისაგან დაწურვილი სასმელი რიბნიკოვისას დაგილევიათ?

—დამილევია!

—კარგია მოცხრილის სასმელი?

—კარგია.

—დაგილევიათ შავის მოცხრილის ფოთოლზედ დაყენებული არაყი წიწაკით?

—არა, მაგისთანა არ დამილევია

—აი, ის არის რაც, არის, თითებს ჩაატანთ!

—უნდა ძალიან მაგარი იყოს?

—ასე რომ—რომ მაგარია.. ცოლს შავირთამ სუფველა ფერს გავიჩენ.. მობძანდებით თქვენ თითონ ნახამთ. მე იმ დღეს პეტრე დიმიტრიჩთან გადავკარ ნაღბით,—სწორეთ გითხრა მაგარი იყო, აი ის სახლიც კარგია, კარგი შემოსავალი აქვს, შეიძლება იმისთანა სახლის ქონა!

—როგორი მდგმურები შეხვდებიან; ზოგი ერთი მდგმური ოთახს მოსვრის და ფულსაც არ მისცემს.

—ფულს არ მომცემს, ფანჯრებს ამოვაღებინებ, ოლონდ ლიხაჩოვსკი უთხრა, თორემ იმას უყვარს ჭუჭყიანი საქმე. ცოლიანი კაცი ვერცკი შეინახამს სახლში იმას: ორსულს დედაკაცსაც შაეშინდება იმისი. ივან სემიონიჩი ცოტას ხანს დაფიქრდა, თქვენ ანდრეი პეტროვიჩ, პარტნოისა ბევრი. გმართებთ, უეცრათ იკითხა იმან.

—არაფერი არა მართებს.

—უნდა თბილი ტანისამოსი შავიკერო: მგონი შამიკერამს.. არ ვიცი რომელი სჯობს, პალტო თუ შინელი?

—პალტო სჯობიან.

—შინელი უფრო დარბაისლურია როგორღაც, თბილია უფრო.

—პალტოთი უფრო ადვილია სიარული

—შინელზედ თუ თავის ბეწვი საყელოთ იქნება, მომატებული სიკეკლუცობაა.. ჩემს მდგომარეობაში სიკეკლუცე საჭიროა; აი საათი არა მაქვს. უსაათობაც არ შეიძლება ბუბნიკოვმა ღრმათ ამოიოხრა და დაფიქრდა.

ანდრეი პეტროვიჩ! წარმოსთქჳა რამდენიმე ხანის შემდეგ როგორღაც მიფერების ხმით.

რა გნებავსთ?

—თქჳენ ამბობთ რო პარტნოვისა არა გმართებთ რა, მაშასადამე თქჳენ გენდობათ, შაუკვეთეთ პალტო, ვითომ თქჳენთჳს. . . მეკი თქჳენი მემართება ა?

—კროტიკოვი პატარახანს დაფიქრდა. თქჳენ როგორღა მომცემთ მე? ჰკითხა იმან, და დაუწყო მინჯჳა ამხანაგსა.

—როგორ მოგცემ!. . ცოლს შევირთამ და მოგცემ.

—თქჳენ, ხუმრობა იქით მართლა ცოლის შერთჳას ფიქრობთ?

—მართლა, პატიოსანი სიტყჳა მივეცი, გინდა დავუნაძლევდეთ?

—რათ გინდა სანაძლეო? ღმერთმა მშჳდობა მოგცეს.

—იმისთჳს რომ სწორე და მართალი იყოს გინდა ერთი დუჟინი შამპანსკი. . მე ქორწილის წინათ გავმართამ ლხინსა გამოსათხოვნელად უცოლოებისას. . ის საძაგელი ცხოვრება უნდა გავაცილო, უშამპანსკოთ არ შეიძლება!. . ქორწილშიაც უსამდუჟინოდ არ შეიძლება! მე თქჳენი მართებს საჭმელ-სასმელისა,—აი ერთათ გაგისწორდებოდი დაბლის ხმით დაუმატა ივან სემეონიჩმა.

—ანდრეი პეტროვიჩი იჯდა დაფიქრებული.

—თქჳენ მოგინდებათ ქორწილის მოსაწოდებლათ გალინოვის მგალობლებისა, სრულიად მოულოდნელად წარმოსთქჳა იმან.

—ივან სემენიჩმა შეხედა იმას.

—ეს, ეშმაკი, უნდა თავიდგან მომიშოროს; ფიქრობდა თავისთჳს და მაღლა სთქჳა;—ზაიცევსკისა სჯობიან

იმათ ჭყავთ ერთ ბასი, მართალია სიმთვრალე უყვარს, მაგრამ ბოლოს დროს ისე დაიღრიალებს მრავალჟამიეს რომ უკეთესი აღარ უნდა

იმ დღეს აქიმის მეუღლე იყო, გული მაუწუხდა, საყდრიდგან ისე გამოიტანეს, ისე დაიღრიალა, რომ ეგონა დედა მიწა ინგრევაო.

—ორივე ამხანაკებმა გაიცინეს.

—აი შჳლების ზრუნვა არის ძნელი. იქ გამდელი, იქ ძიძა, ამბობდა ბუბნიკოვი, წამოიწია ქვეშაგებზედ და მუხლები შეიკეცა; კარგი თუ სულ ვაჟები იქნებიან, ვაჟები სჯობიან, გიჟებიკი იქნებიან საძაგლები.

—არ უნდა გარყუნა, რაკი პატარას იგიჟებს უნდა გადაახდევინო, უთხრა ანდრეი პეტროვიჩმა.

—რასაკჳრველია გადავახდევინებ! განიმეორა ბუბნიკოვმა.

ანდრეი პეტროვიჩმა გაშტერებით შეხედა თავის ამხანაგს, უნდა რაღაც ეთქუა, და პატარა ხანს უკან სთქუა დაბლის ხმით. ძნელია, ივან სემეონიჩ; ჩუჱნისთანა კაცმა ცოლი არ უნდა შეირთოს, შეძლება არა გვაქუს!

—როგორ არა?. . მე თქუჱნ გეუბნებით ხუთი ათას ავიღებ.

—საცოლოკი გყამს?

—რასაკჳრველია მყამს?

—რაზლუდაევისა?

—თუნდ რაზლუდაევისა? რაზლუდაევისა სწორეთ სულია! მე ხომ იცით თუ არ ლამაზსა არ შევირთამ. . ჩოფურებს ვერ გაუძლებ, თუდ რომ ერთი მილიონიც

მომცენ.

—მეგცემენკი?

—როგორ არ მომცემენ, უთუოთ მომცემენ.. მოციქულიც გუგავს.

—როგორ მოციქული?

— ისე, მზითევზედ, გლაპარაკობთ კიდე

— არ მოგატყუებენ?

—ვისა? მე მომატყუონ, არა უკაცრავათ ჯერ ის არც კი დაბადებულა რომელსაც შეუძლიან ჩემი მოტყუება.

—ორივე დაჩუმდნენ

—თქუენ ივან სემეონიჩ, გამოუცხადეთ? დაიწყო კრიტიკოვმა.

—არა არ გამომიცხადებია... მხოლოდ ვაგრძნობინე.

—როგორ აგრძნობინე?

—ისე.. უთხარი რომ ცოლის შერთვას საჭიროებათ ვხედამ.

—იმან რაღა გითხრა?

—არაფერი ჩუმათ იყო. წითლდებოდა და ეცინებოდა.

—მე მგონი გამოცხადება ძნელია, როგორღაც უხერხოა უთხრა იმან.

—რათ არის უხერხო. თქუენთან არის უხერხოდ რომ მგლისავით იყურებით. მიუვარხართ, უთქუენოთ სიცოცლე არ შემიძლიან. გამაბედნიერებთ, შეიძლება დაუჩოქოთ და იტიროთ კიდეც

—ანდრეი პეტროვიჩმა გაიცინა

რომ უარი გითხრან? ჰკითხა იმან.

—უარს იტყვიან ჯანაბას იმათი თავი; ის არ იქნება

იმისი მაგიერი იქნება სხჳა, ოღონდ სურვილი იყოს, თორე ადვილია. აი გაძლევ პატიოსან სიტყჳას რომ ცოლს შევირთამ, — გესმით პატიოსან სიტყჳას! თითქმის წამოიძახა ყვირილით, წამოხტა კრაოტიდგან და გულზედ ხელი დაიკრა.

— ანდრეი პეტროვიჩმა გაშტერებით შეხედა.

— ივან სემეონიჩი სიხარულით აღარ იყო, სახე გაუწითლდა, შინელი მხრიდგან გადუვარდა, ხელებს იქნევდა და მხიარულ მხატვრობით იხატავდა თავის შემდეგს ბედნიერებას

ანდრეი პეტროვიჩი ჩუმათ უგდებდა ყურსა და წყნარად სწევდა ჩიბუხსა.

— თქჳენ ივან სიმონიჩ, როგორ ფიქრობთ მოიქცეთ, ისე უბლადოდ გამოუცხადებთ? პატარა ხანს უკან ჰკითხა იმან.

— რასაკჳრველია გამოუცხადებ; ხვალვე ვაპირობ, შემიყჳარდა! ბუბნიკოვმა წაისო ხელი ყელზედ.

ანდრეი პეტროვიჩი დაფიქრდა.

— თქჳენ ამბობთ რომ უარს იტყვიან: რათა ამბობდა დაწყნარებით; იმისთანა საცოლოს, მალე ვეღარ იპოვით.. მხოლოთ თქჳენთვის არის საჭირო თავი აცნობოთ კარგათ... მე ივან სემეონიჩ ასე ვფიქრობ, უკაცრავათ კი ვარ, ეს საქმე მძიმე და უპირველესია; რასაკჳრველია კაცმა რატომ არ უნდა სცადოს თავისი ბედი, კაცი ყოველთვის უნდა ემიებდეს ბედნიერებასა, მხოლოთ თქჳენთვის უკეთესი იქნება რომ მთავრობას მიჰმართოთ.

ბუბნიკოვს უნდა გაეცინა, მაგრამ შეიმაგრა და თქჳა-

ლები დააჭყიტა

—ნუ თქჳენ ნუ იცინით, ნაჩალნიკებით საქმის დაჭერა უფრო ნამდვილი იქნება, ეუბნებოდა ანდრეი პეტროვიჩი, თავს ნუ მოარიდებ ნაჩალნიკებს, თქჳენა გრიცხვენ კარგ აფიცრათ, მაგალითათ მოჭყეხარ.. ნაჩალნიკები ბევრს შეგეწევიან... თქჳენ თითონ იცით გენერალის სიტყჳა რა არის,.. თუ გენერალი თითონ წავიდა სულ სხჳა იქნება ემგზავსება ჩჳენ მისვალას, იმას სხჳა პატივს სცემენ, და იქნება უარიც ვერცკი გაუბედონ პატივის ცემის გამოისობით.. მე მაგალითი ვიცი, მაგისთანა შემთხვევა აი სად არის! დაუმატა ესა წამოხტა კრაოტიდგან და შუბლზედ ხელი დაიკრა.

ბუბნიკოვი იდგა დაუმუნებული,, სიცილი აღარ ეტყობოდა, დაეღო პირი და თჳალს აღარ აშორებდა ამხანაგსა.—

—როგორ თუ ნაჩალნიკებთან... რას ამბობთ, რა იმისი საქმეა? უთხრა გაუბედავათ.

—რათაც უნდა ღირს შენს ხელქვეით რომ უშველო. დიახ!. ნაჩალნიკი არ უნდა ითაკილო და ამასთანვე გენერლის ნაცნობიცა ხარ.

ივან სიმეონიჩი იდგა ისე დაუმუნებული და უეცრათ მივარდა და ჩამოეკიდა კისერზედ კროტიკოვს.

—ანდრეი პეტროვიჩ, საყჳარელო კეთილის მყოფელო!.. ეუბნებოდა და ჭკოცნიდა ქერა ულვაშებში; აი რა მოიგონე, მე სრულიად თავში არცკი მომივიდოდა... ნაჩალნიკიდგან დავიწყობ საქმესა რასაკვრელია პატივს უფრო სცემენ იმის სიტყჳასა, უარს ვერ გაუბედვენ?

კუნწკობდა სიხარულით აღტაცებული

ანდრეი პეტროვიჩი მხოლოთ იცინოდა უგმაყოფილებით.

—დიახ! . აი მეც გამოგადექ რაშიმე, თუმცა სულელს მეძახი და დამცინი მაინც გიგამოგადექი, წარმოსთქვა ყვედრებით.

—მე ანდრეი პეტროვიჩ არ დავივიწყებ . . . ცოლს შევირთავ ღმერთის გეფიცები არ დავივიწყებ, განიმეორა ბუზნიკოვმა და მივარდა კიდევ ამხანაგის საკოცნელათ.

ივან სემენიჩმა იმავე საღამოს დაუწყო რეცხა თავის ფერჩატკებსა, ძალიან მხიარულათ იყო, იცინოდა, ფიქრობდა, ასე ეგონა რომ იმის გარეშემო რაღაც რამ შეუძლებელი საქმე ტრიალებს, ყოველი იმისი აზრი ასრულდნენ, სადღაც მიიგრინავს. შეხედა ოთახის კედლებს და უკვირდა ანკი როგორ გაუძლო ამდენი ხანი იქ.—ლიხაჩოვი, შემოსული იმ ოთახში უსერთუკო ეჩვენა ძალიან საძაგლათ.

—ამას რაც უნდა ჩაიცვი არ მოუხდება, თუნდ ოქროთიც რომ იყოს მორთული! ფიქრობდა თავისთჳნ.

ანდრეი პეტროვიჩი თითქო უქეიფოთ იყო, მთელი საღამო ქვეშაგებიდგან არ ამდგარა, თავი მოიმძინარა; ამხანაგის აზრმა სრულებით გააკვირვა, შაეჩვია ბუზნიკოვს; ასე ეგონა, რომ უიმისოთ სიცოცხლე არ შეუძლიან; მოუვიდა ფიქრში, რომ იქნება შეიძლებოდეს ივან სემეონიჩთან დადგომა, საჭმელ სასმელის ფულით, «გამდიდრდება, პეტერბურგში წავა, ცნობითაც აღარ გვიკადრებს!» იფიქრა შემდეგ ამოიოხრა და ჩაფლა თავი თჳსი ბალიშში.

## III

მეორეს დღეს დილით, ლიხაჩოვის გაუღვიძებლად, გაეღვიძა ჩვეულებაზედ ადრე მალიან კარგი სიზმარი ენახა: ვითამც ერთ საყენზედ მოშორებული მიწიდგან მიფრინამდა ვითარცა ფრინველი ჭაერში. მარდათ წამოხტა კრაოტიდგან დაიბანა პირი და საჩქაროთ დალია ჩაი, თმა კარგათ დაივარცხნა, ჩაიცო წმინდა საცვალი, შეიტყო კარგათ გაუწმენდია ჩექმები, თუ არა გაშინჯა გუშინდელი გარეცხილი ფელოჩატკები, უბძანა ლიხაჩოვს, რომ რაც შეიძლებოდეს წმინდათ გაეწმინდა მუნდერი და გაეკეთებინა ახალი ეპოლეტები, ჩაიხედა სტოლზედ მდგარ პატარა სარკეში გაეცინა, და ჩამოისო ხელი ლოყებზედ და კისერზედ და დაიწყო ტანისამოსის ჩაცმა იმის მოძრაობას ეტყობოდა ღელვა შეიკრა მუნდერი, გაბერტყა ცხვირსახოცი, ჩაიდო ჯიბეში, გაისწორა აპელატები, კიდევ ჩაიხედა სარკეში და მედგა, ეტყობოდა, რომ რაღაცამ ეწყუმა ცაუარა გულში გვერდზე მდგომს ლიხაჩოვს დაეწყვიტა თვალები და ეწირა ხელის გულზედ ვაქსი.

ივან სემიონიჩმა რამდენჯერმე მაგრა მოსწია პაპიროზი და მიუბრუნდა კროტკოვს.

კროტკოვს ეტყობოდა, რომ ეხლაც უნდოდა ჩვენებოდა მძინარეთ, დილხანს იწვა ის გულაღმა თვალებ მოკუნული, მაგრამ კი სუყოველ მოძრაობას ამხანაგისას თვალს ადევნებდა

—ანდრეი პეტროვიჩ! მაღლა დაუძახა ბუბნიკოვმა და

გადააგდო პაპიროზის ნამწვი.

ანდრეი პეტროვიჩმა გაახილა თუალები.

—რა გინდა?! ჰკითხა იმან.

—მე მზათა ვარ?

—საით?

—გენერალთან.

—ღმერთმა მშვიდობით გზა მოგცეს! უთხრა კროტიკოვმა და სუბუქათ ამოიოხრა.

—როგორღაც მეძნელება!

—როგორც იცით! უნაჩალნიკოთ ვერაფერს ვერ მოიქმედამ თქუენ თითონ ამბობთ რომ აქ უნდა რაღაც ღონე, და სურვილი, მშვიდობით!

—ანდრეი პეტროვიჩი ისევ გადაბრუნდა კედლისაკენ. ბუბნიკოვმა არა უპასუხა, დაიქნია ხელი, აიღო კასკა და თითქმის სირბილით გავიდა ოთახიდგან

—კროტიკოვი იმავე მინუტას წამოხტა კრაოტიდგან. მაიტა ტანსაცმელი ჩქარა. მარდათ მოიქეც! ეუბნებოდა ლიხაჩოვს, და საჩქაროთ სტენდა ჩიბუხს თანბაქოთი სუყველაფერი ახალი მომიტანე სერთუკი, ეპოლეტები, ნურაფერს ნუ დაზოგავ სულ ახალი! თავის სიცოცხლეში არ ყოფილა ამისთანა ღელვაში, ყომრალის ფერი თუალები დაუკტოლნენ. ლოყები დასწითლებოდნენ, ისე ხარბათ სწევდა ჩიბუხსა, რომ თითქო საუკუნოდ ეთხოვებაო. ლიხაჩოვს გადაეკიდნა მკლავზე ბატონის შარვალი და გაკვირვებით უყურებდა

ანდრეი პეტროვიჩმა გამოუშო მოსქე ბოლი თამბაქოსი პირიდგან, მიდგა ჩიბუხი კუთხეში და დაიწყო ჩა-

ცმა. ეტყობოდა თავის თავიც დავიწყებოდა, ჩექმა ერთი ფეხისა ჩაიცვა მეორეზედ, და ამის გამოისობით თავის თავსა და ჩექმასა დაუძახა ეშმაკი სხვა დროს სიფრთხილით ახლებდა ხოლმე ხელს თავის ახალ სერთუკსა ეხლაკი სრულიად არცკი უფრთხილდებოდა, ასე რომ არცკი გააწმენდინა, გაუშინჯავათ ჩაიცვა ჩოტკი წაისვა ულვაშებზე. ჩაიცვა ახალი წმინდა ფერჩატკები, და ისევ მალე გაიხადა და შეინახა ჯიბეში, აიღო ქუდი, წამოისხა შინელი და გამოვიდა ქუჩაში.

—ლიხაჩოვმა ჩუმათ გააძილა, შემდეგ მოიხოცა ცხვირი, აიღო პოლიდგან პაპიროსის ხამწვი, მოსწია ორჯელ ისე მაგრა რომ ცრემლები წამოსცვივნდა, გააფურთხა, მოიწმინდა სველი ტუჩები, წყნარა კისრის ფხანით, გავიდა თავის სადგომში, რომელშიაც იდგა მომყავლო თბილი სუნი.

ანდრეი პეტროვიჩი მიდიოდა ვიწრო ქუჩაში, თავ დაღუნული. იმის სიარულს ეტყობოდა რაღაც გაუბედაობა; სახეზედ ეტყობოდა, რომ რაღაც ფიქრი აწვა იმის გულსა და იყო დაღონებული შეირთე ცოლი. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს შეირთე! ბუტბუტით ამბობდა თავისთვის; რაო ამბობენ ხუთი ათასსა, საკვირველია!.. ფრანციცულსა ლაპარაკობს, ილაპარაკოს ნაჩალნიკებს უფრო კარგი აფიცრები უყვართ და მწყვიან კიდეც. კარგია ცოლის შერთვა უფრო დამშვიდებული იქნები, როცას მოგცემენ. ოჯახობას მოეკიდები, შემოსავალს გაიჩენ. უცოლოდ როტნის კამანდრობა როგორღაც კაცს არ შეჰფერის. ვეტყვი პირდაპირ და გათავდა მეც კაცი ვარ, თავი რათ სოკინდამდო. იმისთანა აფიცარი ვარ, მხოლოდ ფეხების

ფრანტუსი და გრეხა არ ვიცი . . ქალი ფორტოფიანზედ უკრავს . .  ამ ლაპარაკში შედგა დაბალ ხის სახლთან.

ღმერთო! წარმოსთქვა, ჩაიცა წმიდა ფერჩატკები, გაისწორა მუნდერი. უღვაშები, მივიდა ღობესთან, და ქურდულად გააღო კარი.

ამ დროს ივან სემიონიჩი ისწორებდა ტანისამოსსა გენერალის პერედნიში.

გამოჭიმული ვისტავოი თვალებ დაჭყეტილი უყურებდა იმას.

ივან სიმონიჩმა მოიხოცა ცხვირი და შევიდა ზალაში, სახე გას, იოლებოდა, ხელი რომელშიაც ეჭირა კასკა უკანკალებდა, და გახდა სრულიად გაუბედავი. სოფელი, სამასი სული! წაიჩურჩულა ვიღასაც, ბუბნიკოვი გამოიჭიმა ვესტავოიმ გაუარა წინ ფეხის თითებზედ.

ბუბნიკოვი უფრო გამოიჭიმა მარჯვენა ფეხი წინ წადგა; ეტყობოდა, რომ გრძნობდა თავის ღირსებას, სუყოველი ფერი უბრწყინავდა ჩექმებიდგან დაჩუჩუბულ თმამდის.

ერთ მინუტს უკან ვისტავოიმ გამოყარა ისევ წინ და მეორე ოთახში ისმოდა ფეხის ხმა.

ივან ს მეონიჩი დადგა სწორეთ და აიღო თავი მაღლა.

ზალაში შევიდა გენერალი, რომელსაც ეცვა სერთუკი უეპოლეტო, უესახკეთ, იქნებოდა სამოცის წლისა, ტანადაბალი. ჭაღარა გაკრეჭილი ულვაშებიანი, მოცურო ყომრალის ფერის თვალებიანი და მიდიოდა ნისკარტის მსგავსის ცხვრიანი.

ივან სემიონიჩმა დიდის სიმარდით დაუკრა თავი, მა-

გრა შემოკრა ჩექმის ქუსლი მეორეს და ისევ მალე აი-ღო თავი მაღლა.

—ა!. . გამარჯობა, რას იტყვით! სთქჳა გენერალმა და ჯიბეში კელები ჩაიწყო, ეუბნებოდა ძალიან წყნარათ თითქო უკამანდებდა.

ივან სემენიჩმა იმავე სიმარდით დაუკრა თავი — თქჳენ აღმატებულებას, ვჰედავ შევაწუხო ყურადღებას თქჳენის აღმატებულებისასა, პატივისცემა და ღირსება რომელიც სიმართლით მოიპოვეთ თქჳენო აღმატებულებავ . კეთილმოშიშობა საზოგადოობისა, თქჳენო აღ-მატებულებავ. . ზუბნიკოვი უკანასკნელ სიტყვაზედ შედგა და დაახველა

გენერალმა დაუწყო ყურება.

— ა! რას მიბძანებთ, ჩემო საყჳარელო, რითი შემი-ძლიან თქჳენი სამსახური? დაუკავებით უთხრა გენერა-ლმა და ტუჩებზედ მოუკიდა ღიმილი.

ივან სემენიჩ გამხნევდა უფრო და კიდევ დაუკრა თავი.

—კეთილმოქმედება თქჳენის აღმატებულებისა! გარევა თქჳენი, თქჳენ კეთქჳწითის საქმეში, მაძლევენ ნებას!. ერთ სიტყჳას თქჳენის აღმატებულებისას შეუძლიან აღადგინოს კაცი, ესე იგი აამაღლოს იგი, და გახადოს სასარგებლო თავისის ქჳეყნისა! ზუბნიკოვმა დაადაბლა ხმა და დაღუნა თავი

—მადლობელი ვარ მადლობელი . . რას მიბძანებთ, რითი შემიძლიან გემსახურო? განუმეორა იმას

—ყოველი კაცი თქჳენო აღმატებულება, იმედითა სცუ-

ხოვრებს, იმედი ასაზრდოებს კაცსა, ფიქრი და იმედია-ნობა გავბედე . რაც ხანია ვემსახურები თქვენის მოწყა-ლეობის ჴელქვეშ. შემიძლიან ვსთქვა, არც ჯაფა არც ღონე არ დამიზოგავს. . . მამობრიული ყურადღება თქვენის აღმატებულებისა. . .

—ბუბნიკოვი პატარახანს შედგა და უეცრად აღო თავი მაღლა.

—მე თქვენო აღმატებულებავ, ერთი ბედნიერება მსურს ჩემის თავისთვის, ნებითა თქვენის აღმატებულე-ბისა ვიფიქრე ცოლის შერთვა! სრულიად გაბედვით და-უმატა.

გენერალმა მხიარულად გაიცინა.

—ა?! ძალიან სასიამოვნოა, ძალიან მიყვარან ცოლი-ანი აფიცრები, ცოლიანს უფრო შეიძლება ენდო. მო-მილოცავს, გულით გილოცავ ცოლის შერთვა არის წმი-და ვალი კაცისა! გაუშვრა ჴელი.

—მეორემ გრძნობით მოუჭირა ჴელი.

—მართლათ მიბძანეთ თქვენო აღმატებულებავ, წმი-დაა! განიმეორა იმან და დაბლა დაუკრა თავი.

—გენერალმა დაიწყო სიარული ოთახში.

—ლამაზია ჰკითხა? იმან.

—ტურფაა, თქვენო აღმატებულებავ, უპასუხა ივან სემიონიჩმა გვერდზე მიდეკნილმა

—ტურფაა?

—დიახ თქვენო აღმატებულებავ, ფრიად ტურფაა.

—ახალ გაზდაა?

—გასათხოვარია თქვენო აღმატებულებავ, სრული

წლოვანია

— ქერა თმიანია თუ შავგრემანი?

— ქერაც არის და შავგრემანიცა, შუაა თქუენო აღმატებულებავ.

— კეთილშობილია?

— დიდი კეთილშობილია თქუენო აღმატებულებავ

— გაზდილია

— გაზდილია თქუენო აღმატებულებავ, ფრანციცულს ლაპარაკობს, ფორტოფიანზედ უკრავს

— ჭკვანი მშვდობიანი ქალია?

ჭკვანიც და მშვდობიანი სრულიად მშვდობიანია, თქუენო აღმატებულებავ

— შეძლება აქუს?

— ამ უეზდში სამასი სული ყავს თქუენ აღმა-ავ

— გენერალი უეცრად შედგა და თავი მაღლა აიღო.

— სამასი?!

(დასასრული იქნება შემდგომში)

## სხჳა და სხჳა ანბავი:

1,—მოსავალი.—თ. დ ხიმშიაშვილისა.

---

## 1 8 6 4 წლის

### «ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან. დამატებით 7 მან.

სხჳა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ 7 მან. დამატებით 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისს.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

«ცისკრის» რედაქციაში ტფილისს.

Дозволено цензурою. 1864. г. 20. Іюля.